შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.597)

24-31 აგვისტო 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქველმოქმედება – მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში მცხოვრები ფოცხვერაშვილების ოჯახის დასახმარებლად ფინანსების შეგროვებას იწყებს. ეს გადაწყვეტილება ორგანიზაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც 21 წლის აკაკი ფოცხვერაშვილის მიერ, პურის საყიდლად, ეკლესიიდან 55 ლარის მოპარვის შესახებ გახდა ცნობილი. ფოცხვერაშვილი შსს-ს თანამშრომლებმა დააკავეს.

„იდენტობა“ დღეიდან იწყებს ოჯახისათვის ფინანსების შეგროვებას. სურვილის შემთხვევაში თანხის მოწოდება შეგიძლიათ ორგანიზაციის მისამართზე — ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №37, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. ამასთან, „იდენტობა“ ფოცხვერაშვილების საცხოვრებელი პირობების ამსახველ ჩვენს მიერ გადაღებულ ფოტოებსაც ავრცელებს.

ორგანიზაციის მიზანია, სამართლებრივი დახმარების გაწევა დაკავებული პირისათვის; სოციალური მომსახურების სერვისების მოძიება და გრძელვადიანი ინვესტიციისათვის ოჯახის მომზადება და ასევე გაუდებელი ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაწევა ოჯახისათვის, რომელიც სოფლის ყოფილი აბანოს შენობას აფარებს თავს და ამ დროისათვის შიმშილის ზღვარზე იმყოფება.

შეგახსენებთ, „იდენტობა“ სექსუალური უმცირესობების, ლგბტ პირების უფლებადაცვითი საქმიანობით და სხვადასხვა მასშტაბური საპროტესტო აქციებით ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციაა.

„შირაქი“ უკვე იუწყებოდა, რომ 21 წლის აკაკი ფოცხვერაშვილის გათავისუფლებას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაც ითხოვს. ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ ძალოვან უწყებებს უკვე მიმართა. სპეციალურ განცხადებაში მეუფე მელქისედეკი წერს, რომ დაკავებული სასჯელისგან გათავისუფლდეს და სულიერი ცხოვრების წარმართვისათვის მონასტერს მიემაგროს. იქვე ნათქვამია, რომ ეპარქიას, რომელიც გამოძიებამ დაზარალებულად სცნო, არ აქვს პრეტენზია და არ სურს მისი სისხლის სამართლის წესით დასჯა.

ილია მარტყოფლიშვილი

ელიას მთასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ელია თეზბიტელის ტაძრამდე მისასვლელ გზაზე ასფალტის დაგება დაიწყო. როგორც გამგეობაში განმარტავენ, მთლიანობაში 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი მოასფალტდება. გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს უნდა დასრულდეს.

პარალელურად, ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე 160 მეტრის მონაკვეთზე დასრულდა წყლის მილების ჩაწყობა და იწყება გზის დაგება. ხოლო, უახლოეს მომავალში 30 წლიანი უწყოლობის შემდეგ, თავისუფლების ქუჩის მაცხოვრებლები წყალს მიიღებენ.

გამგეობის პრესცენტრის ცნობით, ქუჩის ორივე მხარეს 860 მეტრზე ჩაეწყობა წყლის ახალი მილები, მრცხველის დამონტაჟების შემდეგ კი ყველა მოსახლეს ინდივიდუალურად შეეძლება წყლის შეყვანა. მრიცხველების მონტაჟისთანავე მოსახლეობა წყალს 24 საათიან რეჟიმში მიიღებს.

გზის მოასფალტება იწყება აგრეთვე სოფელ ხორნაბუჯის ე.წ. ახალი სასაფლაოს ტერიტორიაზე. უკვე დასრულდა მოხრეშვა და უახლოეს დღეებში ასფალტის დაგებაც დაიწყება.

წვეთოვანი რწყვის სისტემა სოფელ ფიროსმანში

გვ. 2

სიურპრიზი დედოფლისწყაროელებს

გვ. 8

უჩვეულო მოვლენა სოფელ არბოშიკში

გვ. 6

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

„რთველი 2013“ -ის შტაბის ხელმძღვანელი მევენახეებს შეხვდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი და სააგენტოს წარმომადგენლები, დღეს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუკუზანში ჩავიდნენ და შტაბის ნევრებთან ერთად ადგილობრივ გლეხებსა და ფერმერებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი რთველის ორგანიზაციული საკითხების განხილვა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შტაბის ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების გაცნობა იყო.

საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ შტაბი რთველის პროცესის მოწესრიგებულად წარმართვაზე და წამოჭრილი საკითხების ოპერატიულ დარეგულირებაზე მაქსიმალურად იქნება მობილიზებული.

ამოქმედდება ცხელი ხაზიც, რომელიც დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში მოემსახურება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს მუკუზანში დაახლოებით 800 ტონა საფერავი დაიკრიფება. ხარისხიანი ნედლეულის ფასი, წინასწარი მონაცემებით, 1 ლარი იქნება, რომლის 25 % სახელმწიფო გადაიხდის. უფასოდ დაურიგდა წელს გლეხებს შესანამლი მასალაც. ქარხნები უკვე მზად არიან ყურძნის ჩასაბარებლად. რთველი სოფელ მუკუზანში დაახლოებით ორ კვირაში დაიწყება.

წვრთნები კახეთში

კახეთში მიმდინარე გეგმიური საველე სწავლება „იორი-2013”-ის აქტიური ფაზა დასრულდა. წვრთნა გაერთიანებული შტაბის ჟ-2 დაზვერვის დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების შტაბის გეგმით განხორციელდა. სწავლების დასკვნით ეტაპს გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ვახტანგ კაპანაძე დაესწრო. ბრიგადის გენარალმა საკომანდო პუნქტი მოინახულა, რის შემდეგაც მიმდინარე საველე სწავლებას დაესწრო. ვახტანგ კაპანაძემ საველე სწავლება „იორი-2013”-ს მაღალი შეფასება მისცა და სამომავლოდ მსგავსი წვრთნების ჩატარების აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა. სწავლება „იორი-2013”-ის მიზანს აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების დაქვემდებარებული ქვედანაყოფების შტაბების და სადაზვერვო ასეულების საბრძოლო მამზადების დონის ამაღლება, სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესის და ქვედანაყოფის მართვის პროცედურების სრულყოფა, მიღებული გადაწყვეტილების ქვედანაყოფებამდე დაყვანა, აღსრულება და მართვა წარმოადგენს. სწავლება საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში 19 აგვისტოს დაიწყო და 25 აგვისტოს დასრულდება. „იორი-2013” სადაზვერვო ქვედანაყოფების სიტუაციურ სწავლებას წარმოადგენს და ოთხ ფაზას მოიცავს. განათლების სარდლობაში შექმნილია შემფასებელთა ჯგუფი, რომელიც „იორი-2013”-ის დასრულების შემდგომ სწავლების ანალიზს მოახდენს და შესაბამის დასკვნას მოამზადებს

ქვეწარმავლების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებლობა არც ერთ სამსახურს არ ეკისრება

გასულ წლებთან შედარებით, ქვეწარმავლები კახეთის რეგიონში მნიშვნელოვნად მომრავლდნენ. გახშირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საცხოვრებელ სახლებშიც კი შედიან. მოსახლეობა შეშინებულია და არ იცის დახმარებისთვის რომელ სამსახურს მიმართოს. როგორც კახელები ამბობენ, წელს გველებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებიან: ეზოში, ქუჩაში, გზაზე და სახლებშიც კი. ისინი პრობლემასთან გამკლავებას ხალხური მეთოდებით ცდილობენ.

დახმარების თხოვნით მოსახლეობა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს 112-ის ცხელი ხაზის ნომერზე მიმართავს, თუმცა იქ განმარტავენ, რომ „სამსახური ასეთ სიტუაციებში მხოლოდ თბილისის მოსახლეობას ემსახურება. თქვენ ადგილობრივ გამგეობას უნდა მიმართოთ,“– პასუხობს ოპერატორი.

რეგიონის ცალკეულ მუნიციპალიტეტების გამგეობებში განმარტავენ, რომ ასეთი სამსახური მათთან არ არის და არც ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე პასუხისმგებლობა არც ერთ სამსახურს არ ეკისრება. ქვეწარმავლებთან ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობას კვლავ ნაცადი, ხალხური მეთოდების გამოყენებით უწევს.

საკრებულოს ახალი პრესმდივანი ჰყავს

დედოფლისწყაროს საკრებულოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტად ნონა გომელაური დაინიშნა. ინფორმაცია გომელაურმაც დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ მედიასთან ურთიერთობის გამოცდილება და შესაბამისი განათლება არ აქვს, ნონა გომელაური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს. მისი თქმით, შესაძლოა, მომავალში საკრებულოს სხდომების წინასწარ ანონსირება და სესიაზე მედიის მიწვევაც მოხდეს.

გომელაურმა ანა გონაშვილი შეცვალა, გონაშვილს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციები მიმდინარე წლის თებერვლიდან დაეკისრა, მანამდე ეს ადგილი ვაკანტური იყო. გომელაურის ადგილი კი გამგეობის სოციალურ სამსახურში ანა გონაშვილმა დაიკავა.

გომელაური საკრებულოში გადასვლამდე გამგეობის სოციალური სამსახურის მთავარ სპეციალისტად მუშაობდა ჯანდაცვის საკითხებში, თვითმმართველობის ორგანოში გადმოსვლამდე კი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი იყო.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს საკრებულოს პრესასთან ურთიერთობის სპეციალისტი ნინო მეხრიშვილი, რომელიც დეპუტატ ნანა ტოკლიკიშვილის ქალიშვილია, სამსახურიდან გასული წლის ზაფხულში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გათავისუფლდა. მას შემდეგ ეს პოსტი ვაკანტური იყო. უფუნქციოდ იყო დარჩენილი როგორც საკრებულოსა და გამგეობის პრესმდივნები, ისე თვითმმართველობის ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდი.

ილია მარტყოფლიშვილი

ზემო ქედში სოციალურად დაუცველი ოჯახის სახლი დაიწვა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში ილია არგანაშვილის ორსართულიან საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. როგორც ზემო ქედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბეჟან სუხაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ოჯახი სოციალურად დაუცველია და სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული.

სუხაშვილის განმარტებით, ცეცხლი სავარაუდოდ ელექტროღუმელიდან გაჩნდა, მთლიანად დამწვარია საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი.

მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადა ოპერატიულად მივიდა, რის გამოც ცეცხლის გავრცელების თავიდან აცილება მოხერხდა. სოფელი მადლიერებას გამოხატავს სამაშველო სამსახურის მიმართ, ოპერატიული მუშაობისთვის.

დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის ზვიად ჯავახიშვილის განმარტებით, წელს ზაფხულის სეზონზე დედოფლისწყაროში ხანძრის შემთხვევების მატება არ შეინიშნება. გამოძახებების რიცხვი არც ალოობის მიმდინარეობის დროს გაზრდილა.

სოფელ ფიროსმანში წვეთოვანი რწყვის სისტემის მონტაჟი დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მოსახლეობას წვეთოვანი რწყვის სისტემა გადაეცა და ყველა ოჯახში მისი მონტაჟი დაიწყო. პროცესს, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ ხუციშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ვალიკო აბაშიძე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით კონსოლციუმი (CLOWS) საქართველოში ახორციელებს (USAID)-მიერ დაფინანსებულ პროგრამას „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“.

პროგრამა მოიცავას მდინარე რიონის, ალაზნისა და ივრის აუზებს, ამიტომ მასში დედოფლისწყაროცაა ჩართული. პროგრამის მიზანია გაუმჯობესდეს მოსახლეობის მდგომარეობა და გაიზარდოს მისი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი წყლის მიწოდების, სანიტარიული პირობების გაუმჯობესების, ეკოსისტემების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვის გზით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 10 საპილოტე პროექტი განხორციელდება, დონორმა უკვე დაამტკიცა 3 პროექტი. 21 ივლისს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტი „სოფელ ფიროსმანის გასარწყავება წვეთოვანი სისტემის გამოყენებით“.

გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ 21 ივლისს, სოფელში წვეთოვანი რწყვის 150 კომპლექტით დატვირთული ტრაილერი შევიდა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, სოფელ ფიროსმანის მოსახლეობასთან ერთად დახვდა. გამგებლის თქმით, ტვირთი ყველა კომლისთვის არის განკუთვნილი.

სოფელ გამარჯვებაში ავტომანქანა აფეთქდა

სოფელ გამარჯვებაში, დედოფლისწყარო-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ბეემვეს მარკის ავტომობილი აფეთქდა, წინასწარი ინფორმაციით, ის თხევადი აირის ავზზე მუშაობდა.

როგორც თვითმხილველებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, სწრაფად მიმავალი ავტომობილი თავდაპირველად ადგილობრივი მკვიდრის მანუჩარ გიგაურის საცხოვრებელი სახლის მესერს შეეჯახა, შემდეგ ამოტრიალდა და ცეცხლი გაუჩნდა.

„სწრაფად მიმავალს წინა საბურავი გაუსკდა, საჭე ვერ დაიმორჩილა, მესერს შეეჯახა და ამოტრიალდა. ჭერი დაეჭყლიტა, თუმცა ახალგაზრდები უვნებლად გადარჩნენ,“ — აცხადებენ სოფელ გამარჯვებაში.

ავტომანქანას აზერბაიჯანელი ეროვნების ახალგაზრდა მართავდა, რომელიც მეგობრებთან ერთად დედოფლისწყაროდან თბილისის მიმართულებით გადაადგილდებოდა.

მგზავრებმა ამოტრიალებული ავტომანქანიდან გამოღწევა მის აფეთქებამდე შეძლეს, მათ სხეულის სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

ადგილზე დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. დამწვარი ავტომანქანა ევაკუატორის დახმარებით გადაიტანეს.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. დაზარალებულებს პრეტენზია არავის მიმართ აქვთ და უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზად სისწრაფეს ასახელებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროელი ფანების სტამბოლში ახდენილი ოცნება

სულ ახლახანს დედოფლისწყაროს მკვიდრი ახალგაზდრა, სალომე ნატროშვილი თავის მეგობრებთან ერთად თურქეთში, ქალაქ სტამბულში ტურისტული ვიზიტით Pink floyd-ის კონცერტზე გახლდათ, სლომე ქალაქ სტამბულიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, გვინდა მისი ემოციები რამდენიმე დღიანი თურქული მოგზაურობის შესახებ ჩვენს მკითხველსაც გავუზიაროთ.

* * *

ინგლისური როკ-ჯგუფის ალბომი The Wall - ქართულად „კედელი“ არის როკ-ოპერის ფორმის ნაწარმოები. კედლის მეტაფორული სიმბოლო პიროვნების საზოგადოებისგან გარიყვასა და გათიშვას ნიშნავს. ალბომის ყველა სიმღერით წარმოდგენილია მოვლენების თანმიმდევრობა, რომელიც ადამიანის სულიერ წინააღმდეგობებს ასახავს. კედელი იმ შეხედულებებისა და მოვლენების ერთობლიობაა, რომელიც პიროვნებისა და გრძნობის თავისუფლებას ზღუდავს. სწორედ ადამიანი და გრძნობა რჩება საბოლოოდ, ყველა დანარჩენი სტერეოტიპი კი, ნადგურდება.

2013 წლის 4 აგვისტოს, თურქეთში, ქალაქ სტამბოლში „თურქეთის ტექნიკური უნივერსიტეტის“ სტადიონზე კიდევ ერთხელ, 2006 წლის შემდეგ ლეგენდარული როკ-ჯგუფის Pink floyd-ის ასევე ლეგენდარული ალბომის - „კედლის“ ცოცხლად მოსმენის შესაძლებლობა მიეცათ ჯგუფის მოყვარულებს.

Pink floyd-ის „კედელი“ არ არის მხოლოდ მუსიკა, მეტიც, ის ჯერ ალეგორიაა და შემდეგ მუსიკა. ალბომი პიროვნების გაუცხოვებასა და გარესამყაროსთან მის იზოლაციაზე, სტერეოტიპებსა და მათთან შინაგან და გარეგან ბრძოლებზე, გაბატონებული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების მსხვრევას ეძღვნება.

სტამბოლში 4 აგვისტოს „იტუს“ სტადიონზე თურქი მსენელების გვერდით ათასობით ქართველი მოყვარული ემოციებს ვერ იოკებდა. მათ შორის 4 დედოფლისწყაროელი ახალგაზრდაც იყო. როგორც თვითონ „შირაქთან“ საუბარში აღწერენ, იმ წუთებში უჭირდათ დანახულის და მოსმენილის გაცნობიერება და აღქმა. მათ ისეთი ოცნების ასრულება შეძლეს, რომელის ახდენაზეც, როგორც თავად ამბობენ, „ვერც კი იოცნებებდნენ!“



2013 წლის სტამბოლის „კედელმა“ თურქეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მოედანზე განუმეორებელ მუსიკას მთელი კონცერტის მსვლელობის განმავლობაში ფონად გასდევდა შეძახილი: „ყველგან ტაქსიმი - წინააღმდეგობა ყველგან!“

კონცერტის მსვლელობისას კედელი აღიმართება, რომელიც საბოლოოდ ინგრევა. ამ კედლის თითოეულ აგურს სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის შედეგად ცალკეული მსმენელისთვის პირად წინააღმდეგობასთან ასოცირდება, სწორედ ამაშია მისი გენიალურობა. ალბომის კონცეფცია იმდენად ღრმაა, ზოგიერთისთვის ის პაციფიზმს, ზოგიერთისთვის - ანარქიზმს ან უბრალოდ შინაგან ჩაკეტილობას და მასთან ბრძოლას უკავშრდება. ეს არის უნივერსალური მუსიკა, რომელიც ამავდროულად ინდივიდის არსებობას ყველაზე დიდ მნიშვნელობას სძენს.

69 წლის როჯერ უოტერსი აუდიტორიასთან საოცარ კავშირს ამყარებდა, თავად წარმოდგენა გრანდიოზული იყო, მისი ეფექტები კი თითქმის შოკისმომგვრელი. ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც საერთო ენაზეც კი ვერ ლაპარაკობდნენ, კონცერტის დასასრულს ემოციებს ისე უზიარებდნენ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის თანამოაზრეები და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ეს ასეც არის! Pink floyd-ის ყველა მსმენელი ერთმანეთის უსიტყვო თანამოაზრეა...

კონცერტის დასასრულს უოტერსმა საზოგადოებას მხურვალედ მიმართა და თქვა რომ, 192-ე ან 193-ე ტურნეზე იყო და ასეთი კავშირი აუდიტორიასთან მანამდე არასდროს დაუმყარებია. რამდენად გულწრფელი იყო თავად უოტერსი, ამის თქმა რთულია, თუმცა ქართველი მსმენელები ამბობენ, რომ მანამდე ასეთი შეგრძნება არ ჰქონიათ დ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე საუბარი დღემდე ძალიან უჭირთ.

ელზა ხარაშვილი

საბრძოლო იარაღები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგანძურში

ხალიბთა ქართველმა ტომმა კაცობრიობას რკინის მოპოვების ხელოვნება აჩუქა

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კედლები მრავალ საუკუნოვან ისტორიას ინახავს. აქ ბევრი საბრძოლო იარაღი ინახება, რომლებიც თავისი განუმეორებელი შტრიხებით, წრთობისა და ჭედვის მაღალი ორიგინალობით დანახვისთანავე ატყვევებს ადამიანის თვალს.

იარაღის წარმოშობის ისტორია პალეოლითის ხანით იწყება. ეს ხანა 2 - 2, 5 მილიონი წლის წინანდელ პერიოდს მოიცავს. თავდაპირველი იარაღები იყო მხოლოდ ერთნაირი სახეობის, ერთნაირი მასალისაგან შემდგარი, თითქმის ერთნაირად დამუშავებული. შემდგომ პერიოდში უკვე გამოიკვეთა საბრძოლო იარაღები, ესენი იყო: ცულები, ანატკეცი ქვის დანები, შუბები, მშვილდისრები. (დაცულია მუზეუმის ფონდში)

საზოგადოებრივმა განვითარებამ უფრო გაამრავალფეროვნა იარაღის სახეობები. იყო იარაღები, რომლებიც გამოიყენებოდა ვრცელ, გაშლილ ველზე - საბრძოლო ეტლი, (ბრინჯაოს ეტლის მოდელი აღმოჩენილია დედოფლისწყაროში, რომელიც მიეკუთვნება ძვ. წ. აღ. IX - VII ს. ს. ამ აღმოჩენას ზოგადი შეფასებით ძველაღმოსავლური ცივილიზაციის სფეროში შევყავართ, სამწუხაროდ ის ჩვენს მუზეუმში არ ინახება. (ეროვნული მუზეუმის საკუთრებაა) ცხენოსანი რაზმი და სხვა. მაგრამ ეს იარაღი ვერ იქნებოდა გამოყენებული მთაგორიან და ტყიან გარემოში.

შეიქმნა ისეთი იარაღიც, რომელიც ყველა ქორეოგრაფიული გარემოსთვისა იყო გათვალისწინებული.

ქართული საჭურველი იქმნებოდა და იწრთობოდა იმ განუწყვეტელ ომებში, რომელიც თავისუფლებისმოყვარულ ქართველ ხალხს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უწევდა.

საქართველოში დამზადებულ საჭურველს ძველთაგანვე საუკეთესოდ მიიჩნევდნენ არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოებაში ოსტატდებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხელოსნები, რომლებიც საბრძოლო იარაღების დამზადების საიდუმლოებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, მაღალხარისხოვანი ფოლადის ერთ - ერთ კლასიკურ ქვეყნად საქართველო ითვლებოდა. ქართველთა ტომი - ხალიბები (ქალდეები) განთქმული იყვნენ რკინის დამუშავების ბრწყინვალე დახელოვნებაში., რაზედაც სწერდნენ ჰეროდოტე, არისტოტელე, აპ როდოსელი და ბევრი სხვაც. ლოგიკურია ჯურხა ნადირაძის ვარაუდი, რომ ჭიათურის მიდამოები ხალიბთა ნაფუძარი უნდა იყოსო. მაშ რაზე მეტყველებენ სახელწოდება სოფლისა ხალიბაური? ბერძნებმა ხომ რკინას ხალიბთა სატომო სახელი „ხალიბიკოსი“ უწოდეს, აქედანვე გადაუღიათ რკინის წარმოების საიდუმლო.

ხალიბთა ქართველმა ტომმა კაცობრიობას რკინის მოპოვების ხელოვნება აჩუქა. ამას მოწმობს როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური აღმოჩენები. მუზეუმში დაცული საჭურველებიდან გამოვყოფთ თავდასაცავ იარაღს - ფარს, ჯაჭვის პერანგს და შესატევ იარაღს - ხმალს.

საქართველოში ოვალური რგოლებისგან ასხმული ჯაჭვის პერანგი იყო გავრცელებული , მისი კალთა კი უფრო წვრილი რგოლებისგან შედგებოდა. ჯაჭვის პერანგს ჩვეულებრივ სამოსზე ზემოდან იცვამდნენ, რომელშიც გულთან იყო ჩაჭრა და ყელთან დუგმებით იკვრებოდა. ჯაჭვის ფართო სახელოები მხრებს ფარავდა და თითქმის იდაყვებამდე ჩამოდიოდა. ჯაჭვის დამზადების პროცესს ძველად ჯაჭვის „ქსოვა“ან „ასხმა“ ეწოდებოდა, რომელსაც ქვითით აკრიალებდნენ ხოლმე.

რაც შეეხება მცირე ზომის ხევსურულ ფარს, რომელიც ჩვენს მუზეუმშია წარმოდგენილი, მზადდებოდა ფურცელოვანი რკინისაგან, ფარის ჩონჩხი რკინის ზოლებისგან ანუ ხიდებისგან შედგებოდა. ფარის ცენტრში ჯვარა უერთდებოდა რკინის ზესადებს - „გუმბათს“ რომელიც შუაში ამოზნექილია. ამ ნაწილს ეწოდა გუმბათის ვაშლი.

ფარს გარედან მოუყვებოდა ერთი ან ორი რკალი - „გრიგოლი“. რომელზედაც წვეტიანი რკინის ფარეშები (ლურსმანი) არის დამაგრებული. ფარს შიგნიდან ტყავის აკრავდნენ. სარჩულზე ოთხკუთხა ფორმის ტყავს ნაჭერს აკერებდნენ, რომელზედაც ღვედებისგან დაწნულ სახელურს - „საბღუჯავს“ ამაგრებდნენ.

ფარისთვის განკუთვნილ ტყავს ხევსურები განსაკუთრებული წესით ამუშავებდნენ. ხარს რომ გაატყავებდნენ, ტყავს ჯოხებზე გაჭიმავდნენ და მასზე საჭირო ზომის წრეს ამოჭრიდნენ, შავად შესაღებად ჭვარტლის ხსნარში ხარშავდნენ, შემდეგ გააშრობდნენ და უშუალოდ ფარის გაკეთებას შეუდგებოდნენ. გამზადებული ფარი კერაზე უნდა შეებოლათ, სანამ მთლად არ გაშავდებოდა. (ამიტომაც უწოდებენ ხევსურებს „შავფაროსნებს“) მრავალი საუკუნის განმავლობაში საჭურველი ქართული ტანსაცმლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. ხმალი და სატევარი ოჯახურ რელიქვიად მიიჩნეოდა და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ჭაბუკს მისი სრულწლოვანების აღსა

ნიშნავად საჭურველს გადასცემდნენ ხოლმე. ხმალი საქართველოში ძალაუფლების სიმბოლოსაც წარმოადგენდა.

ქართული ხმალი ორგვარია: ვადიანი და უვადო. ქართველ ოსტატთა მიერ დამზადებულ ხმლის პირებს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ჩვენში უკანასკნელ დრომდე განთქმული იყო „დავით - ფერული“, “ფრანგული“, “გორდა“, “კალდიმი“.

აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ქართულ - ნაციონალურ საჭურველთან ერთად დაცულია სპარსული, რუსული და სხვა ნიმუშებიც.

ასე რომ, მუზეუმი ინახავს წარსულს მომავლისთვის, რაც ჟამთა სვლასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძვირფასი ხდება.

ლალი გასილაშვილი
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელებს ხელახლა დაამტკიცებენ

“პროფესიული თეატრების შესახებ” კანონის თანახმად, თეატრში პირველი პირი სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება და საქართველოს მასშტაბით, 36 თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი ხელახლა დამტკიცდება.

აქამდე თეატრის საქმიანობაზე პასუხისმგებლობა თეატრის მმართველს ეკისრებოდა, რომელიც ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას წარმართავდა.

კანდიდატების შერჩევის მიზნით, კულტურის სამინისტროსთან სპეციალური სარეკომენდაციო საბჭო შეიქმნა რომელიც თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების პოსტებზე წარდგენილი კანიდატურების მონაცემებს შეისწავლის, შერჩეული კანდიდატები კი, კულტურის მინისტრს წარედგინება და მინისტრი მას თანამდებობაზე 4 წლის ვადით დანიშნავს.

რაც შეეხება კრიტერიუმებს, სამხატვრო ხელმძღვანელი არანაკლებ სამწლიანი თეატრალური სახელოვნებო გამოცდილების მქონე პროფესიით რეჟისორი უნდა იყოს. “პროფესიული თეატრების შესახებ” ახალი კანონის თანახმად, თეატრის დირექტორსაც მინისტრი ნიშნავს, თუმცა სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით.

საქართველოში მოქმედი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების პოსტებზე წარდგენილია როგორც თეატრების მოქმედი ხელმძღვანელები, ასევე ახალი კანდიდატურები.

ცნობისთვის, საქართველოში “თეატრის შესახებ” კანონი პირველად 1999 წელს ამოქმედდა, რომლის თანახმად, თეატრში მთავარი პირი სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. “ვარდების რევოლუციის” შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თეატრის საქმიანობაზე სრული პასუხისმგებლობა მმართველს დაეკისრა. 2013 წლის აპრილში კი, ძალაში შევიდა პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის მიერ შემუშავებული “პროფესიული თეატრების შესახებ” კანონი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული თეატრების საქმიანობის წესს განსაზღვრავს და მის თანახმად, სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილება მმართველის ინსტიტუტის გაუქმების ხარჯზე გაიზარდა.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



რამდენიმე ხნის წინ ჩემს პირად ფეისბუქში მეგობრობის შემოთავაზება მომივიდა. პიროვნება მამაკაცი გახლდათ. გვარი მეცნო. რატომღაც თავიდან მშობლიურ სოფელ ოზაანს დავუკავშირე, იქ კოტაშვილების ერთი ოჯახი მეგულებოდა, ვიფიქრე, წარმოშობით ჩემი სოფელიდან იქნება და ალბათ, ფესვებთან სიახლოვისთვის დამიკავშირდა-მეთქი. ჰოდა, მეც გულწრფელად გამიხარდა თანასოფლელის გამოჩენა და დავთანხმდი მეგობრობას. მერე ჩავეძიე, ვკითხე, საიდან მეცნობოდა მისი გვარი და მითხრა, რომ ის რაიონში წლები „სახალხო ბანკის“ (ახლანდელი „ლიბერთი ბანკის“) მმართველი იყო. აღფრთოვანება ვერ დავმალე, არ მეგონა, თუ მე იმ კოტაშვილთან დამეგობრების პატივი მერგო, რომელზეც ლეგენდებს ყვებოდნენ რაიონში, როგორც საუკეთესო მუშაკზე და, არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ ძლიერ ფინანსისტზე. მაინც რა არის ვირტუალური სამყარო, ვის არ გაგაცნობს! მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც რაიონში ერთ-ერთი წარმატებული ბანკის მმართველზე, ჯემალ კოტაშვილზე ბევრი კარგი რამ მსმენია, მოგვიანებით ისიც მახსოვს, რომ მოსახლეობაში ხმა გავრცელდა, ჯემალ კოტაშვილი დააწინაურეს და „სახალხო ბანკიდან“ თბილისში, უკეთეს ადგილზე გადაიყვანესო. ყვებოდნენ ჯემალ კოტაშვილის უშურველ ენერგიულობასა და ნიჭიერებაზე, თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცის და უძლიერესი ფინანსისტიაო. წავიდა დედაქალაქში და დარჩა იქ, ჩვენმა საზოგადოებამ კი, ნაკლებად იცის, თუ საქმიანობის კიდევ რამხელა გზა გააგრძელა ბატონმა ჯემალმა. ის არაერთი კომპანიის და ორგანიზაციის წარმატებული მენეჯერია. აქედან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება მისი ცხოვრებისა და განვლილი გზის შესახებ ინფორმაციის მიწვდა.

სულ ახლახანს, ჩვენმა რედაქტორმა, ქალბატონმა ნაირა გორაშვილმა, ახალი რუბრიკა შემოიღო ჩვენს გაზეთში, - „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. მკითხველმა მოიწონა და შეიყვარა ეს რუბრიკა. ბევრი გამოხმაურებაც მოჰყვა. მეც გამიჩნდა იდეა, რომ ამ რუბრიკის ერთ-ერთი სტუმარი სწორედ ჯემალ კოტაშვილი ყოფილიყო. ის ხომ წლებია, რაიონიდან წასულია, საზოგადოებასთან მრავალწლიანი განშორების შემდეგ კი, შეუძლებელია, სათქმელი და გასახსენებელი არ ჰქონოდეს პიროვნებას, რომელსაც თავისი წვლილი მიუძღვის ჩვენი რაიონის ისტორიის შექმნაში. საკუთარ ხალხს და მათთან სათქმელს მონატრებულმა ბატონმა ჯემალმაც არ დააყოვნა და დადებითი პასუხი მომწერა, მოვიფიქრებო, რამდენიმე დღის შემდეგ კი ბატონი ჯემალის წერილიც მივიღე. აი, რა მომწერა ბატონმა ჯემალ კოტაშვილმა:

„დავიბადე 1947 წლის 30 დეკემბერს სოფელ არბოშიკში. დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1972 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ეკონომისტის სპეციალობით. 1965-72 წლებში ვმუშაობდი წითელწყაროს ღვინის ქარხანაში: მუშად, მოანგარიშედ, რიგით ბუღალტრად, მთავარი ბუღალტრის მოადგილედ, 1971 წლიდან 23 წლის ასაკში მთავარ ბუღალტრად გადამიყვანეს. 1972-73 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1974 წლიდან ვმუშაობდი ელევატორის მთავარ ბუღალტრად. 1976 წლის აგვისტოს თვიდან გადამიყვანეს სსრკ სახელმწიფო ბანკის წითელწყაროს განყოფილების მმართველად. მაშინ კონკურსი მოდაში არ იყო, თუმცა, რაიკომის მიერ წარდგენილი უკვე მესამე კანდიდატი გახლდით (პირველი ორი თბილისმა გასაუბრების შემდეგ დაინუნა). სპეციალობის მიხედვით გასაუბრების შემდეგ დამამტკიცეს ამ თანამდებობაზე (საქართველოში ასაკით ყველაზე ახალგაზრდა მმართველი ვიყავი). სადაც ვიმუშავე 1996 წლის სექტემბრამდე. შემდეგ 9 თვე ვიმუშავე რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ ეკონომიკის დარგში (წამოვედი ჩემი ინიციატივით) ამდენივე ხანს ვმუშაობდი ბანკ ,,რესპუბლიკას“ რაიონის ფილიალის მმართველად, ხოლო 1998 წლის მარტიდან ს.ს. „აგრომრეწვბანკის“ რესპუბლიკური ბანკის ხელმძღვანელთა მოთხოვნით და გადაწყვეტილებით, კვლავ დამაბრუნეს რაიონის ფილიალის მმართველის თანამდებობაზე. 2004 წლის ივლისიდან გადამიყვანეს ქ. თბილისში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ჯერ სპეციალისტის, შემდეგ მრჩეველის თანამდებობაზე. 2007 წლის ივლისში რესპუბლიკის მაშინდელი თავკაცების გადაწყვეტილებით ჩვენი დეპარტამენტი გააუქმეს (ალბათ ზოგიერთებს არ მოეწონათ ჩვენი მიუკერძოებელი მუშაობა), რის შემდეგ ვმუშაობ ისევ ქ. თბილისში, ამჟამად შ.პ.ს. ,,ბასილონ გლობალ სერვის“-ში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის მშენებლობა, სასტუმრო ქსელის შექმნა და მომსახურება, სოფლის მეურნეობა და სხვა. გენერალურ პროკურატურაში ჩემი მონაწილეობით გავხსენით ბევრი ფინანსური მაქინაცია, გამოვავლინეთ ფულის გათეთრების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები. მინდა ვთქვა, რომ აქ მოხდა ჩემი ცოდნის და გამოცდილების რეალიზაცია, ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანა თაღლითების წინააღმდეგ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. თითქმის 28 წელი ვიმუშავე საბანკო სისტემაში მმართველის თანამდებობაზე. იმ ხანად (1976-90 წ.) ბანკების მეშვეობით სახელმწიფო თითქმის ყველა სფეროზე ახორციელებდა კონტროლს (ე.წ. მანეთით კონტროლს.) როგორიცაა, ხელფასის ფონდის ხარჯვის, ბანკიდან მიღებული თანხების მიზნობრივად გამოყენების, საკასო დისციპლინის დაცვის და საკასო გეგმის შესრულების, წვრილბითუმვაჭრობის კონტროლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამბარებლებთან დროული ანგარიშსწორების, საწარმოთა მიერ როგორც საკუთარი, ისე ნასესხები საბრუნავი სახსრების ეფექტურად გამოყენების, გაცემული სესხების უზრუნველყოფის შემოწმებას ვახდენდით ყოველ 10 დღეში. გვევალებოდა მშენებლობის და კაპიტალური რემონტის დაფინანსების, ანგარიშსწორების და საინჟინრო კონტროლის (შტატში გვყავდა ინჟინერი, რომელიც აწარმოებდა შესრულებული სამუშაოების საკონტროლო აზომვებს და ამოწმებდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სისწორეს) განხორციელება. ვადგენდით კვარტალურ სამუშაო გეგმებს და ზემდგომი მკაცრად გვთხოვდა მისი შესრულების ანგარიშებს. ეს ეხებოდა ყველა სუბიექტს, იმის მიუხედავად სამუშაოები სრულდებოდა საკუთარი თუ ნასესხები საშუალებებით. ყველა ორგანიზაცია, საწარმო, დაწესებულება, ყოველთვიურად გვაბარებდა საბუღალტრო ბალანსს, რომელსაც შესაბამისი კომპეტენციის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლები აანალიზებდნენ, დადგენილი კრიტერიუმების ფარგლებში და ადგენდნენ დასკვნებს, რის საფუძველზეც ვამტკიცებდით კარგად და ცუდად მომუშავე ორგანიზაციათა სიებს, კარგად მომუშავეებზე ვაწესებიდით შეღავათებს, ცუდად მომუშავეებზე ვიყენებდით სანქციებს, რომელიც გამოიხატებოდა შესაბამისად, სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებით ან გაზრდით. ბევრის ჩამოთვლა შემიძლია ჩვენი იმდროინდელი საქმიანობის შესახებ, მაგრამ თავს მეტად აღარ შეგაწყენთ. გავიხსენებ ერთ კონკრეტულ ეპიზოდს. ეს იყო ალბათ 1982 ან 1983 წელი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო ცხონებული გივი ჭარაქაშვილი,რომელიც მატყუარა, ინტრიგან ხალხს ვერ იტანდა, რაც მაგ შენობას საკმარისზე მეტი ჰყავდა ყოველთვის(ზოგმა თავისთავი თუ ამოიცნო, ცივი წყალი დალიოს), იგი ყველა საქმეში უაღრესად ჩახედული, გათვითცნობიერებული და კომპეტენტური ხელმძღვანელი იყო. სოფელ წითელწყაროში (ყოფილი სატყეო სახლის მიმდებარედ) დაიწყო შინმოუსვლელთა ობელისკის მშენებლობა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო და საზეიმოდ გახსნილიყო გამარჯვების დღის - 9 მაისისთვის. მუშაობა მიდიოდა ჩქარი ტემპით, რაიკომის პირველი მდივნის უშუალო კონტროლით, გამოსასვლელი დღეების ჩათვლით, სამუშაოების დაახლოებით 60 % იყო შესრულებული, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სანახაობითი, ადმინისტრაციული და კულტურული მიმართულების მშენებლობების შეწყვეტა-დაკონსერვების შესახებ. ამ ობიექტის, ისე როგორც ყველა სხვა ობიექტების, მშენებლობა-დაფინანსების შესახებ მონაცემებს კვარტალში ერთხელ ვაგზავნიდით ქ. თბილისში, ზემდგომ ინსტანციაში, ხოლო თბილისი, მთლი რესპუბლიკის მონაცემებს აგზავნიდა სსრკ სახელმწიფო ბანკში-მოსკოვში. საკავშირო ცეკას ეს დაგენილება 3 დღით ადრე საკავშირო ბანკიდან მე მივიღე, ვიდრე რაიკომის აპარატმა. რა თქმა უნდა გამიჩნდა თავსატეხი. ვიცოდი რა რაიონის ხელმძღვანელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. დამიძახა რაიკომის პირველმა მდივანმა და მითხრა: პარტიიდან ორივე რომ გაგვრიცხონ, ამ მშენებლობის დაფინანსება, ანგარიშსწორება უნდა გაგრძელდეს და ობიექტი 9 მაისისთვის უნდა დამთავრდესო (მშენებელი იყო საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო, (თავმჯდომარე თენგიზ იაკობიშვილი). აქ იყო ერთი გამოსავალი - ობიექტი უნდა გვეჩვენებინა დამთავრებულად, ხოლო ანგარიშსწორება ობიექტზე შეიძლება გაგრძელებულიყო. ობიექტი ვაჩვენეთ დამთავრებულად, ხოლო ფაქტობრივად სამუშაოები გრძელდებოდა. მტირალი დედის და ლომების მონუმენტებზეც სასწარაფოდ მოვახდინეთ ანგარიშსწორება. დამთავრების მონაცემების გაგზავნის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში მონაცემების გადამოწმების მიზნით საქართველოში ჩამოვიდა სსრკ სახელმწიფო ბანკიდან შემმოწმებელთა ჯგუფი. საქართველოში მათი შერჩევით შემოწმებას დაქვემდებარებული 8 რაიონიდან, ორი პიროვნება მოავლინეს (თვითონ მოსკოვიდან ჩამოსულებმა შეარჩიეს) ჩვენს რაიონში სოფელ წითელწყაროში შინმოუსვლელთა ობელისკის მშენებლობის დამთავრების შემოწმების თაობაზე, რაზედაც წინა დღით ტელეფონით შემატყობინეს. შევწუხდი, მაშინ მობილურები არ იყო, რაიკომის მდივანი წასული იყო ორი დღით თბილისში. შემოწმებაზე ჩამოვიდა რესპუბლიკური ბანკიდან სამმართველოს უფროსი - თემურ გოგრიჭიანი და მეორე პიროვნება მოსკოვიდან, საკავშირო სახელმწიფო ბანკიდან ახალგაზრდა ქალბატონი. როგორც მოვიდნენ ბანკში, სტუმრები წავიყვანე სადილზე რესტორანში, კარგად მოვულხინეთ, მერე ჩემთან სახლში გავაგრძელეთ. გათენდა, ნისლიანი და ნვიმიანი დღე იყო, მომთხოვეს ობიექტის პროექტი და ობიექტის ნახვა. ინჟინრის არყოფნის გამო ვერ (არ) წარვუდგინე პროექტი. შემმოწმებლები წავიყვანე და სოფელ ჯაფარიძის თავში იმ ხანად უკვე დამთავრებული შინმოუსვლელთა ობელისკი ვაჩვენე სტუმრებს. აღარ ჩაეძივნენ დეტალებს, პურ-მარილი კი ამ დღითაც გავაგრძელეთ, სტუმარი ქალბატონი კარგად სვავდა (სიგარეტსაც ეწეოდა) და საღამოთი სტუმრები ჩემი მანქანით გავაგზავნე უკან თბილისში. ობიექტი 9 მაისისათვის დამთავრდა და საზეიმოდ გაიხსნა, რომელიც დღესაც მოქმედებს. ანალოგიურად, რაიონში მოქმედი ტელეანძა აშენდა, როგორც მეცხვარეთა დასასვენებელი სახლი. (კიტრის ქურდი იანვარში დაიკვეხნისო, ხომ გაგიგონიათ, მაგრამ როცა სასიკეთო საქმეს აკეთებ, ასეთი ოინებიც მოსულა.)

და ბოლოს, რატომ დავტოვე 9 თვეში რაიონის გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობა? გიპასუხებთ, რომ იქ ჩემი ინიციატივით არ გადავსულვარ, ამასთან, უძველესი დროიდან მოყოლებული მმართველებს (იგულისხმება ხელმძღვანელები, პირველი პირები, გამგებლები) გარს ეხვია მლიქვნელთა, ასინეთების და ქიმსალების საკმაო წრე, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო მმართველის გარშემო მყოფი საქმიანი, ავტორიტეტული, კომპეტენტური, ერთგული ხალხის ჩამოცილება და გამონთავისუფლებული სივრცის მათ მიერ დაკავება, ინტრიგების ხლართვა და მმართველის ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მმართველი, მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ, მათივე დანერგილი ინტრიგების მსხვერპლი ხდება ხოლმე. ამ საშინელების ყურება არ შემეძლო და დავტოვე თანამდებობა. თუ ვიღაცეებს კუდი აეწვებათ, შესაძლებლობა ეძლევათ აჟღურტულდნენ.“

ესაუბრა
ლალი მეხრიშვილი

დაუდევრობის დემონსტრირება

სარედაქციო ფოსტა

ყოველგვარი შესავლის გარეშე მინდა „შირაქის“ მკითხველებს გავუზიარო და გვაცნო ის ენობრივი ლაფსუსები და შეუსაბამო გამონათქვამები, რომლებიც „ამკობენ“ პრესის ფურცლებს, რა თქმა უნდა, აქ ნაგულისხმევია ის ჟურნალები და გაზეთები, რომლებზეც ხელი მიმიწვდება და რომელთა მეშვეობითაც ვგებულობ ჩვენი ქვეყნისა თუ ხალხის სიავ-კარგეს, ოცნებებს, გეგმებს, დაპირებებსა და ათას წვრილმანს.

განსაკუთრებით თვალში საცემია სიტყვა „მოხდებას“ უმართებულო და არასწორი ხმარების შემთხვევები. მაგალითები: „როგორ მოხდა თქვენი დაპატიმრება?“, „როცა ჩემი პირველი დაკითხვა მოხდა“, „მისი ხელახალი კურთხევა და ამოქმედება მოხდა 1988 წელს“, „ფიროსმანის ნახატის აუქციონზე გატანა უკანონოდ მოხდა“ „გასროლა შოთა თარალაშვილმა მოახდინა“, „საკათედრო ტაძარში მოხდა მისი დიაკვნად კურთხევა“, „შემდეგ კი არა ერთხელ მოხდა მისი სხვადასხვა ადგილებზე გადაყვანგადმოყვანა“.

სიტყვები „ზიანი“ და „ზარალი“, რომ ერთმანეთში ერევათ, ამის მკაფიო ნიმუშია: „გლეხები საგრძნობლად დაზიანდნენ ეკონომიკურად“. აქ „დაზარალდნენ” უნდა ყოფილიყო.

არის შემთხვევები, როცა კურიოზულ გამონათქვამსაც ნახავ კაცი. „ნინომ წარბი წყნარად ასწია“, ნეტავ ხმაურიანად ვინმე ახერხებს წარბის აწევას? „ეზოში ისევ ფიცხი გერმანული ნაგაზი დაგვხვდა“. მე მგონი ამის მთქმელს, უმჯობესია უმართებულო „ფიცხის“ ნაცვლად „ავი“ ეხმარა, თანაც ასე: „გერმანული ავი ნაგაზი დაეწერა.

საოცარი ერთი რამეა, ვთქვათ, ვიღაც კორესპონდენტმა თქვა, ან დაწერა არასწორად, სად იყვნენ რედაქციის თანამშრომლები, რომლებიც ვალდებულნი არიან არ დაუშვან საჩოთირო გამონათქვამები.

„ხორხოშელა ფიფქები ბზრიალ-ტრიალით ეშვებოდა ციდან“. ხორხოშელა ითქმის თოვლზე, რომელიც საფანტივით ეცემა ძირს და არ „ბზრიალ-ტრიალებს“

„ცხენი დედალია თუ მამალი“? „მას ყავდა ცხვრისა და თხის ჯოგი“, „შეუბერეთ წკნელის მწვადებზე.“ ამის დამწერ-მთქმელს კი მოუხდება წკნელებით განკეპლვა, მაგრამ რაკი ხელი არ მიგვიწვდება, ვურჩიოთ, რომ წკნელი სულ სხვაა და წალამი სხვა.

ცხენზე და ვირზე ითქმის ულაყი, ხვადი, ხოლო ცხვრის და თხის „ჯოგი“ კი არა უნდა ეთქვა ფარა.

რამდენიმე მაგალითი-კურიოზს შემოგთავაზებთ და ამით მოვრჩეთ და გავათაოთ მკითხველთან გაბაასება.

აბა როგორ არ გაოცდები კაცი, როცა ასეთ რამეს წაიკითხავ: „წლეულს ყურძნის მოსავალი რეკორდულად დაბალი იყო“ დავიჯერო, ამის დამწერმა რეკორდის მნიშვნელობა არ იცის. რეკორდი ხომ უმაღლეს შედეგს, საუკეთესოს ნიშნავს.

„უხეშად დაფქული ხორბლის პური“. ამის დამწერს ძალიან „უხეშად“ გამოუვიადა ნათქვამი, უნდა დაეწერა „დაროშილი“ და სადაო არაფერი იქნებოდა და აღარ ვიტყოდით, რასა როშავსო.

ძალიან, ძალიან ბევრი „შედეევრის მოხმობა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ ყურადღების მისაქცევად და გასათვალისწინებლად ესეც საკმარისია. მთავარია გამგებმა გაიგოს და გაითვალისწინოს.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

ოჯახი

არაორდინალურად შექმნილი ოჯახი რეალურ სინამდვილეში

თითოეული ოჯახი ქვეყნის საძირკველია. რაც უფრო მტკიცეა და ძლიერი ოჯახი, მით მყარია ქვეყნის ძლიერებაც. ოჯახის სიძლიერე კი შრომიდან და შრომისმოყვარეობიდან მოდის. ოჯახი, რომელზეც ქვემოთ მინდა მოგითხროთ, სწორედ შრომისმოყვარეობასა და განსხვავებულ სიყვარულზეა დაფუძნებული. ოჯახის დედა - საშიკო გვრიტიშვილი სოფელ ზემო ქედში დაიბადა 1938 წელს. ექვსშვილიან ოჯახს, ისე, როგორც უმრავლესობას, ეკონომიურად ძალიან უჭირდა. საშიკო მეხუთე შვილი გახლდათ. მშობლები, შვილებთან ერთად, საკუთარი ხელით სჭრიდნენ ალიზს და ასე ცდილობდნენ, საკუთარი ჭერი ჰქონოდათ. საშიკოც მხარში ედგა ოჯახს და ბავშობიდანვე შრობოდა. 7 კლასი რომ დაამთავრა, ჭრა-კერვის სკოლაში გააგრძელა სწავლა, მაგრამ ბავშობა და ქალიშვილის ლაღი ცხოვრება მალე დამთავრდა: 17 წლის იყო, არხილოსკალოელმა ლადო ბუჩუკურმა ცოლად რომ წაიყვანა. ის 7-8 წლით უფროსი იყო და ახალგაზრდა ქალზე დიდ გავლენას ახდენდა. მათი ოჯახიც მრავალსულიანი იყო, ეკონომიურად მათაც უჭირდათ. ამიტომ, საშიკოს შრომის და ჯაფის უღელი თანდათან უფრო დამძიმდა. სამი შვილი შეეძინა-ელზა, მზია და ზურაბი. წელებზე ფეხს იდგამდა, კოლმეურნეობაში ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდა წვრილშვილის პატრონი, მაგრამ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ვერ ახერხებდნენ. ცოტა არ იყოს, სმა უყვარდა ლადოს და ნასვამს, არცთუ მთლად კარგი ხასიათი ჰქონდა. ბევჯერ ეცადა ქალი, ქმრისთვის გარემო შეეცვალა, რაიონში წამოსულიყვნენ და ახალი ცხოვრება დაეწყოთ, მაგრამ ლადო უარზე იყო. ქალმა იფიქრა, მე რომ წავალ და ბავშვებს წავიყვან, ისიც წამოვა, აბა, რას იზამსო და... დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, მადლიერებით იხსენებს ნოდარ ქავთარაძეს, რომელმაც ხელი მოუმართა და კირის ქარხანაში დააწყებინა მუშაობა. აქედან იწყება საშიკოს მეორე ცხოვრება. ნაქირავებ, პატარა ბინაში სამი შვილით ცხოვრების სიძნელეებს არ შეუშინდა. მერე ცეკავშირის სავაჭრო სკოლაც დაამთავრა და მაღაზიაში გამყიდველად დაიწყო მუშაობა. უცნაური რამ არის ბედისწერა. დღესაც არ იცის, რამ განაპირობა სამი შვილის დედის და ჯერ კიდევ დაუოჯახებელი ვალიკო ბაგაშვილის ცხოვრების გზების გადაკვეთა. ეს ყველაფერი შემთხვევით დაიწყო და ისე ბუნებრივად განვითარდა, რომ ოჯახად ჩამოყალიბდა. დღეს ნაკლებად უკვირთ ასეთი ქორწინება, მაშინ ეს სენსაციური იყო და ხალხიც ბევრს ჭორაობდა: ზოგი საშიკოს ამტყუნებდა, ზოგი - ვალიკოს. ისეთებიც იყვნენ, ვისაც ბედისწერის და სიყვარულის სჯეროდა და ბედნიერებას უსურვებდა მათ. ბედნიერები კი მართლა იყვნენ და არიან დღესაც. ვალიკო ისე ზრუნავდა ბავშვებზე, ბევრმა ალალმა მამამ ჭირი მოსჭამოს. ოჯახი თანდათან წელში გაიმართა. ვალიკო მძღოლად მუშაობდა, საშიკო - მაღაზიაში, ბავშვები თბილ გარემოში იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ. მამას არცერთი არ ეძახოდა, მაგრამ მათი ურიერთობა სრულიად აკმაყოფილებდა მამა-შვილების კრიტერიუმებს. ელზამ და მზიამ ცეკავშირის ტექნიკუმში საბუღალტრო-ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრეს, დაოჯახდნენ. ელზა საგარეჯოში დაბინავდა, მზია-ლაგოდეხში. ელზას ორი შვილი ეყოლა, მზიას - სამი. მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?! ელზას ავადმოფობა შეეპარა და 1998 წელს, 38 წლის ასაკში გარდაიცვალა. 15 წელია, შვილმკვდარი დედის მძიმე ფლასს ატარებს საშიკო. ისვ მხნეა, ისევ შემართული და დღედაღამ მუხლჩაუხრელი, მაგრამ დედის გულს რა გაამთელებს- ის სამუდამო, მოურჩენელ ტკივილს ინახავს და მონატრების მძაფრი სურვილით იტანჯება.

ოჯახის ერთადერთმა მემკვიდრემ-ზურაბ ბუჩუკურმა მეათე კლასიდან დეიდას მიაშურა ქალაქ ორჯონიკიძეში (ეხ, რა დრო იყო, გასაყოფი რა გვქონდა ოსებთან?!) საშუალო სკოლაც იქ დაამთავრა. მერე გერმანიაში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მშობლიურ დედოფლისწყაროში დაბრუნებულმა, ხან სახანძრო განყოფილებაში, ხან დაცვის პოლიციაში, ხან საზღვრის დაცვის სამსხურში იმუშავა, მაგრამ, ბოლოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ნახა თავისი ადგილი და აგერ, 15 წელია, პოლიციელის საპატიო საქმეს ემსახურება. პარალელურად იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და დღეს მაიორის ჩინით მხრებდამშვენებული ადამიანთა სიმშვიდეს იცავს. თავისი საქმის ერთგული და შრომისმოყვარე თანამშრომელი, პროფესიულ დღესთან დაკავშირებით 2013 წლის 17 მაისის ბრძანება №922143-ით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მადლობის სიგელით დააჯილდოვა: **„პოლიციის მაიორ ზურაბ ვლადიმერის ძე ბუჩუკურს- შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს, სამსხურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისათვის აჯილდოვებს მადლობის სიგელით“.** სიგელს, ჩვენდა საამაყოდ, ხელს აწერს ჩვენი თანამემამულე, **შინაგან საქმეთა მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი.** ეს აღაიარება ზურაბის კარიერაზეც შესაბამისად აისახა: ის დააწინაურეს და დღეს იგი საუბნო განყოფილების უფროსი გახლავთ. **პოლიციის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსი** გიორგი ბუბუნაური ზურაბ ბუჩუკურს ახასიათებს როგორც გონიერ, საქმის ერთგულ და პროფესიონალ თანამშრომელს.

- მასზე დაყრდნობა შეიძლება, ვიცი, რომ მოკვდება და საქმეს საუკეთესოდ გაართმევს თავს. ამბიცია არ აწუხებს, თავმდაბალი და უღალატოა. ის ნამდვილად იმსახურებს წინსვლას, - დარწმუნებით ამბობს ბატონი გიორგი.

- შრომითი „ხეტიალის“ შემდეგ ჩემი საქმე ვიპოვე: ხალხთან ცოცხალი ურთიერთობა ძალიან საინტერესოა. სიკეთის კეთების შანსიც დიდია. ამ საქმის ალღო უნდა გქონდეს და გამოცდილებაც თავისით მოვა. კოლეგებთან ერთად ბევრი რთული საქმე გამიხსნია. დაძაბული სადღეღამისო მუშაობა დაგვჭირდა ოზაანის პატარა ტბაში ჩაძირული ალუღიშვილის და ოზაშვილის გვამების აღმოსაჩენად, ასევე ალაზანში დამხრჩვალი მესაზღვრე მინდიაშვილის საპოვნელად. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ დღეს მუშაობისთვის ყველა პირობა გვაქვს. სიტუაცია აბსოლუტურად დარეგულირებულია, მადლობა ღმერთს, პარტიული დავალებებისა და სხვა მსგავსი სიტუაციებისაგან გავთავისუფლდით, პროფესიული საქმიანობის დონემაც აიწია, გონიერი და პროფესიონალი ხელმძღვაელობის ხელშეწყობით. კარიერული ამბიცია არასდროს მაწუხებდა, მე მუდამ პროფესიული ზრდისკენ მივისწრაფოდი, მადლობა ყველას, ვინც ჩემი შრომა დააფასა, - ამბობს ჩვენთან საუბრისას ზურაბ ბუჩუკური.

ორი შვილის მამაა ზურაბი. დავითი უკვე დიდი ბიჭია, სავალდებულო სამხედრო სამსხურს იხდის. პატარა ანა კი ქ.დედოფლიწყაროს №1 საჯარო სკოლის მეორე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. შვილების გაზრდაში დედა უდგას მხარში, საშიკო შვილიშვილებისთვის ამაგიანი და მზრუნველი ბებიაა. ვალიკოც მხარს არ უგდებს, ისევე ერთგულად ზრუნავს შვილიშვილებზე, როგორც თავის დროზე მათ მშობლებზე. მათ სახლ-კარს და ეზოს მშრომელი ადამიანების ხელი ატყვია.

დიახ, ასეც ხდება ცხოვრებაში, არაორდინალურად შექმნილი ოჯახი დღევანდელ რეალობაში შეხმატკბილებულად ცხოვრობს და ქვეყნის სიძლიერეს უწყობს ხელს: ისინი ქვეყანას 7 ქალვაჟს უზრდიან და ამით ამაყობენ კიდეც, რადგან სწორედ ეს არის ქვეყნის მომავალი.

ნაირა გორაშვილი

ადამიანი რეალისტიც უნდა იყოს და თავისუფალიც

გიორგი ფიროსმანაშვილი

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, რომელიც სწავლისთვის მოწოდებული მოსწავლე იყო. მისი მშობლები ახალგაზრდა და შრომისმოყვარე ხალხია, მაგრამ საბედისწეროდ ოჯახში ჯერ ბებიამ იავადმყოფა, მერე ყველაფერი ერთმანეთს აჰყვა და გიორგის დედა გახდა ავად. ამჯერად კი მამის გამოჯანმრთელებას ებრძვიან მედიკოსები. ამ გარემოებამ ოჯახი ეკონომიურად ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მისი მშობლები ვერაფრით შეძლებდნენ შვილის მასწავლებლებთან მომზადების ხარჯების გაღებას, არც მოუთხოვია.



აიღო ხელში წიგნები და თავად მოემზადა. მისი მონდომება მასწავლებლებმაც შენიშნეს და მცდელობა არ მოაკლეს, პედაგოგები მუდმივად აწვდიდნენ ლიტერატურას და წიგნებს მომავალ აბიტურიენტს, რათა გიორგის მიზნები ასრულებულიყო და ეროვნულ გამოცდებზე წარმატებისთვის მიეღწია. ნიჭმა, მონდომებამ, სიბეჯითემ და მეცადინეობაში გატარებულმა ღამეებმა უქმად არ ჩაიარა, ეროვნულ გამოცდებზე გიორგი ფიროსმანაშვილმა საკმაოდ მაღალი ქულები დააგროვა და ამჯერად ის იმის მოლოდინშია, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი დასაწყისია, მით უმეტეს, თუ ამ ყველაფერს აბიტურიენტი რეპეტიტორის გარეშე მიაღწევს.

„შირაქმა“ გიორგის წარმატება მიულოცა და რამდენიმე კითხვით მიმართა.

– გიორგი, რა საგნები ჩააბარეთ და რა ქულები მოიპოვე თითოეულში?

– ჩავაბარე ქართული, უცხო ენა, ქიმია და ზოგადი უნარები, ქართულში- 46, ინგლისურში - 59, ზოგად უნარებში- 55 და ქიმიაში - 60 ქულა დავაგროვე.

– რა ფაკულტეტები ჩაწერეთ სიით პირველ ეტაპზე და სავარაუდოდ, სად ელოდებით ჩარიცხვას?

– პირველი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიური ფაკულტეტი ჩავწერე, ჩარიცხვასაც ამავე ფაკულტეტზე ველოდები, რადგან დღევანდელი ახალგაზრდებისგან განსხვავებით მე სწორედ ამ პროფესიამ დამაინტერესა. მეორე - ბიზნესის სკოლა - ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე) და მესამე - ბიზნესის სკოლა - ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმი).

– თუ გიფიქრია სხვა პროფესიაზე?

– რა თქმა უნდა, სხვა პროფესიაზეც მიფიქრია, მაგალითად, მინდოდა გამოვსულიყავი ფსიქოლოგი, ასევე მაინტერესებდა კომპიუტერული ტექნოლოგიები.

– მიზანდასახულად მიაღწიეთ შედეგს, თუ იღბალს მიაწერთ თქვენს წარმატებას?

– რატომღაც მიმაჩნია, რომ უფრო მიზანდასახული ვარ ვიდრე იღბლიანი.

– როგორ ფიქრობ სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისია იმისთვის, რომ უმაღლესში ჩაირიცხო, თუ სხვა დამატებითი ლიტერატურის ჩაღრმავებით სწავლაა აუცილებელი?

(გაგრძელება გვ. 6)

ადამიანი რეალისტიც უნდა იყოს და თავისუფალიც

(მეხუთე გვერდიდან)

– ნამდვილად ვფიქრობ, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებასა და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისთვის სრულებით საკმარისია. მთავარია მონდომება და სწავლის სურვილი. თუ გულს დაუდებ და მიზანდასახული ხარ, ცოდნა ნამდვილად დაფასდება. თუმცა, დამატებით ცოდნის გაღრმავება კიდევ უფრო დაეხმარება ადამიანს წინსვლასა და მიზნის მიღწევაში.

– რა არის თქვენი მიზანი, იყოთ წარმატებული ადამიანი და შემდგომში თქვენს მშობლიურ რაიონს მოახმაროთ თქვენი ცოდნა, თუ პირადი კეთილდღეობა და უზრუნველი ცხოვრება მოიწყოთ იქ, სადაც ეს მოგეხერხებათ?

– ჩემი მიზანია წარმატებასაც მივაღწიო და პირადი ცხოვრებაც მოვიწყო. ამავე დროს, თუ მშობლიურ რაიონს დავჭირდები, მზად ვარ უანგაროდ მოვახმარო ჩემი ცოდნა და მიღებული გამოცდილება.

რამდენად მადლიერი ხარ შენი სკოლის?

ძალიან მადლიერი ვარ მშობლიური სკოლის. პირადი გამოცდილება მაძლევს უფლებას, ვთქვა, რომ სკოლის პედაგოგები ნამდვილად ზრუნავენ თითოეულ მოსწავლეზე. მინდა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს მადლობა გადავუხადო იმ ყურადღებისთვისა და მზრუნველობისთვის, რაც მათ ჩვენთვის გაიღეს ამ თორმეტი წლის განმავლობაში. ასევე, მინდა დიდი მონატრებით გავიხსენო ჩემი პირველი მასწავლებელი იზოლდი გურაშვილი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული. გულწრფელი რომ ვიყო, მადლიერი ვარ ჩემი პედაგოგების, რომლებიც სისტემატურად მაწვდიდნენ ლიტერატურას და ხელს მიწყობდნენ, რომ სრულყოფილი ცოდნა მიმეღო და დაბრკოლება არ შემქმნოდა. ვფიქრობ, მათი დამსახურებაა, ის რომ მე სწავლას უმაღლეს სასწავლებელში გავაგრძელებ. ბედნიერი ვარ, რომ სტუდენტი გავხდები, ამიტომაც არ შემიძლია მადლობა არ ვუთრა მათ, ვინც გამოცდების უკეთ მომზადებაში მეხმარებოდნენ: ლია ქადაგიძე, ეთერ ზურიკაშვილი, მარინა მილაშვილი, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ნელი საბიაშვილისა და ირინა თეთვაძის გვერდში დგომა და დახმარება. ისინი რომ არა, მე გამიჭირდებოდა გამოცდებზე ასეთი ქულების მიღება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველა მათგანს. ჩემს მიერ ნაჩვენებ ამ შედეგში მათი წვლილი, მართლაც, ძალიან დიდია.

„თუ მშობლიურ რაიონს დავჭირდები, მზად ვარ უანგაროდ მოვახმარო ჩემი ცოდნა და გამოცდილება“

– ხართ რაიმეთი გატაცებული, თავისუფალ დროს რითი ხართ დაკავებული?

- თავისუფალ დროს მიყვარს მუსიკის მოსმენა, ვუყურებ ფილმებს, ჩემი გატაცება კი არის კალათბურთი. ეს ჩემი საყვარელი სპორტის საეობაა და მომავალში დიდი სიამოვნებით გავყვებოდი მას. ვნახოთ, რა იქნება.

– შენი აზრით, როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომ ცხოვრებაში გაუმართლდეს, თავისუფალი და რეალისტი, თუ უბრალოდ იღბალმა უნდა გადმოხედოს?

– ჩემი აზრით, ცხოვრებაში რომ გაუმართლდეს ადამიანი რეალისტიც უნდა იყოს და თავისუფალიც, თუმცა იღბალიც აუცილებელია.

– გიორგი, შენი საყვარელი წიგნი რომელია, რომელ ნაწარმოებს გამოყოფდი ყველაზე განსაკუთრებულად?

– ჩემი საყვარელი ჟანრია სათავგადასავლო-დეტექტივი. განსაკუთრებით საყვარელი წიგნი არ მაქვს, თუმცა გამოვარჩევდი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალს“. ძალიან მომწონს მისი მთავარი გმირის იდუმალება და საოცარი მოხერხებულობა, მისი არაჩვეულებრივი დაკვირვების უნარით მოხიბლული ვარ.

– გისურვებ წარმატებებს მომავლის გზაზე, კარგ დასპეციალებას და თქვენი ცოდნის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენებას!

– დიდი მადლობა ყურადღებისთვის, ვეცდები, იმედი არ გავუცრუო საზოგადოებას.

ლალი მეხრიშვილი

უჩვეულო მოვლენა სოფელ არბოშიკში

ის, რასაც ახლა წაიკითხავთ, არავის მოუგონია. მართალია, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში 5 წლის ბავშვი მოულოდნელად ზრდასრული მამაკაცის ენით ალაპარაკდა. სანამ „პრაიმტაიმი“ მომხდარს უშუალოდ ოჯახში გადაამოწმებდა, ბავშვის „სხეულში ჩასახლებული სულის“ შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან, სხვადასხვა ამბავი მოვისმინეთ. თუმცა, როცა სოფელში, პატატიშვილების ოჯახში ჩავედით, მივხვდით, რომ საქმე იმდენად სერიოზულადაა, რომ ოჯახის წევრები მომხდარ სასწაულს გულმოდგინედ ასაიდუმლოებენ.

საქმე 5 წლის ბავშვს ეხება, რომელიც პერიოდულად ამბობს, რომ ბათუმელია, ავარიაში მოყვა, რის შედეგადაც თავი დაიზიანა, ჰყავს ცოლ-შვილი, აქვს დიდი სახლი და ძალიან ბევრი ფული, ის კი არადა, გიორგის ისიც უთქვამს, 80 ათას დოლარს ბანკში ვინახავო. ოჯახის ახლობლების გადმოცემით, გიორგი იმ კაცის მობილური ტელეფონის ნომერსაც ამბობს. ითქვა ისიც, რომ მშობლებმა გიორგის მიერ დასახელებულ ნომერზე დარეკეს და აღმოჩნდა, რომ ის ადამიანი, 5 წლის წინათ გარდაიცვალა, მაშინ, როცა გიორგი დაიბადა.

ეს თავზარდამცემი ამბავი პატატიშვილებს შობის დღეებში დაატყდათ თავს. მას მერე შეშინებულ მშობლებს ბავშვი სოფლის მოძღვართან დაჰყავთ. აი, რა მოუყვა გიორგის ბებია არბოშიკის სკოლის რელიგიის მასწავლებელს, როცა რჩევის საკითხავად მივიდა:

ნინო ალადაშვილი, ***(არბოშიკის საჯარო სკოლის რელიგიის მასწავლებელი):***

– ჩემთვის ძალიან რთულია ამის ახსნა, ძალიან საფრთხილო საქმეა, ბოროტი ებრძვის ჭეშმარიტებას და სიფრთხილეა საჭირო, ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდონ ამ საკითხს. ვფიქრობ, რომ ეშმაკისგან ხდება ეს რაღაც.

– როგორც ვიცით, ოჯახი თქვენთან რჩევის საკითხავად იყო მოსული.

– ბებია არის ეკლესიური, ვუთხარი, რომ ბავშვი მამაოსთან მიეყვანა და მისგან მიეღო რჩევები. მგონი, გაითვალისწინეს ყველაფერი.

– როგორ მოგიყვათ ბებია ამ ამბავს?

– ბავშვი ამბობს, რომ ვარ ვიღაც პიროვნება და რაღაცას იხსენებს იმის შესახებო.

– ვის სახელსა და გვარს ამბობს?

– არ მახსოვს, ტაძარში მოყვა ბებია ამ ამბავს, ბავშვიც ჰყავდა მოყვანილი. თქვა, რომ ბავშვი ამბობს, წამიყვანეთ ბათუმში და გაჩვენებთ ჩემს სახლ-კარსო. ცოლ-შვილი მყავსო. მოძღვარმა დაარიგა მერე და რაც უთხრა, მგონი, შეასრულეს. ჯვარი დაკიდეს, ნაზიარებიც არის ბავშვი, შეიძლება ბავშვური ფანტაზია იყოს, ან შეიძლება ეშმაკისგან ხდება.

– თქვენც ესწრებოდით მოძღვართან ბებია-შვილიშვილის შეხვედრას?

– დიახ, მეც ვიყავი, მაგრამ გირჩევთ, რომ ამაზე არ გაამახვილოთ ყურადღება.

მანანა ჭილიტაშვილი, ***(არბოშიკის სკოლის დირექტორი):*** ორი კვირის წინ დავინტერესდი ამ ბავშვის ამბით. გავიგე, რომ ახლა მშობლები უკრძალავენ ამ თემაზე ლაპარაკს. ისიც გავიგე, რომ ბათუმშიც ყოფილან და გადაუმოწმებიათ. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი არის გარდაცვლილი. თურმე ამბობდა, ბათუმში ძალიან დიდი სახლი მაქვს, ფული მაქვს აქა და აქო... ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ მეზობლებთან კონტაქტსაც კი უშლიან. ჩვენი მოსწავლეა ერთი ბავშვი და ის ამბობს ხოლმე, აღარც ჩვენთან უშვებენო. მამაოსთანაც ჰყავდათ მიყვანილი.

მხოლოდ სოფელ არბოშიკში კი არა, პატარა გიორგის ამბავი მთელმა დედოფლისწყარომ იცის. გიორგის ერთი ძმა ჰყავს, მშობლებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად კოტაანში მოკრძალებულ სახლში ცხოვრობს. ჩვენთან შეხვედრა იუცხოვა, შემდეგ ცოტა გაიხსნა, ლექსიც გვითხრა, მაგრამ, როგორც კი მის მიერ ნანახ სიზმარზე დავუწყეთ საუბარი, კონტაქტში აღარ შემოვიდა, ყველა კითხვაზე მხოლოდ „არ ვიცის“ ამბობდა.

– გიორგი, რა სიზმარი ნახე, მოგვიყევი.

– არაფერი.

– ბათუმში ნამყოფი ხარ?

– არ ვიცი.

– ზღვა თუ გინახავს?

– კი.

– სად?

– ჯაფარიძესთან (აღმოჩნდა, რომ იქვე მდებარე ტბას გულისხმობდა).

– ბათუმში არ გინახავს ზღვა?

– გამიშვით, რა... არ ვიცი.

გიორგისგან ამის მეტი ვერაფერი გავიგეთ. ვერც მისი ბებიისგან და დედისგან. ოჯახი კატეგორიულად უარყოფს იმას, რაზეც მთელი სოფელი ლაპარაკობს. ბავშვური ფანტაზიაა, ამბობენ და ძალიან ღიზიანდებიან, როცა ამ თემაზე ეკითხებიან.

ნანა ბოსტაშვილი, ***გიორგის ბებია:***

– ბავშვმა რაღაც სიზმარი ნახა და ეგ არის. რა საჭიროა ამაზე ყურადღების გამახვილება?

– არაფერი უცნაური არ შეგიმჩნევიათ მის ნათქვამში?

– არაფერი არც უთქვამს, ვის არ უნდა ლამაზი სახლი? ჰოდა, ამანაც თამაშის დროს ბავშვებთან თქვა, მე დიდი სახლი მექნება ბათუმშიო. ბათუმიც იმიტომ ახსენა, რომ ტელევიზორში უყურებს და ეტყობა, მოეწონა... მეტი არაფერი, შვილო, მოიგონა ხალხმა ყველაფერი...

5 წლის ბიჭი მისი დაბადებისას გარდაცვლილი მამაკაცის ენით ალაპარაკდა და მისი ცხოვრების დეტალებს ჰყვება

– ვის დასჭირდა 5 წლის ბავშვზე ასეთი ჭორის მოგონება? ან როგორც ბავშვების თამაშის დროს ნათქვამი რამ, რატომ უნდა გამხდარიყო ასეთი ჭორების მიზეზი (რაც ძალიან გამიკვირდა, ქალბატონმა ნანამ ჯერ თქვა, ბავშვმა სიზმარი ნახაო, მერე კი, თამაშობდა და ამ დროს ოცნებობდა გიორგი დიდ სახლსა და ბათუმზეო)?

– რა ვიცი, ვის დასჭირდა, ყველამ ძალიან ვინერვიულეთ, დედამისი ძალიან ცუდად იყო... დამიჯერეთ, საერთოდ არაფერი მომხდარა, ჩვეულებრივი ბავშვია, ძალიან კონტაქტური და თბილი...

სხვათა შორის, დედამ, რომელიც ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდა, სანამ შეკითხვებს დავუსვამდით, თავადვე დაიწყო საუბარი.

ნათია პატატიშვილი, ***გიორგის დედა:***

– არავითარი ბათუმელი კაცი და ტელეფონის ნომერი, ყველაფერი მოგონილია, ბავშვმა სიზმარი ნახა და ეგ არის, არაფერი არ მომხდარა, მოიგონეს, ეტყობა...

– რომ გაილვიძა, თქვენ მოგიყვათ ამ სიზმრის შესახებ?

– ვერაფერს გეტყვით, ეტყობა, ნახა სიზმარში.

– ითქვა, რომ თქვენ ბათუმშიც კი იყავით და ნომერი გადაამოწმეთ.

– არა, რა სისულელეა, არაფერი არ მომხდარა.

სოფელ არბოშიკში მომხდარი ამბის ახსნა პარაფსიქოლოგ გიორგი შონიას ვთხოვეთ.

გიორგი შონია: „ხდება ასეთი რაღაცები, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ეს ბავშვი სიმართლეს ამბობს. რეინკარნაციები, ინფორმაციული ენერგეტიკა კოდირებულია, სამყაროში მუდამ არის ინფორმაცია, ტრიალებს ინფორმაციული ენერგეტიკა და ზოგს შესწევს უნარი, მიიღოს, როგორც ლეთარგიული ძილის დროს, სიკვდილის წინ, დოქტორ ჰაუსშიც იყო ასეთი შემთხვევა, როცა იქ ახსნილი იყო, რომ, როცა ადამიანს რაღაც ძვრები აქვს თავის ტვინში, მაშინ შეიძლება მოხდეს ისეთი გაღიზიანება ნერვისა, რომ მან დაინახოს მთელი თავისი წარსული. ეს ჩადებული და კოდირებულია, გააჩნია, რომელ ტალღას გააღიზიანებს თავის ტვინში. ამ შემთხვევაში, ეს სული კი არა, ინფორმაცია მიიღო ბავშვმა, ან მეორე, შესაძლებელია, რომ ეს არის მატარებელი იმ სულისა, რომელიც ცოცხლობდა და მერე ამ პატარა ბავშვის სხეულში ჩასახლდა. მაგრამ ამას სულს ნუ ვუწოდებთ, ეს უფრო ინფორმაციაა, რომელიც მან მიიღო. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია“.

თამარ გორთამაშვილი
„პრაიმტაიმი“

C ჰეპატიტი - რთული დაავადებაა

C ჰეპატიტი C ვირუსით გამოწვეული ღვიძლის დაზიანებით მიმდინარე გადამდები დაავადებაა,რომლის კლინიკური მიმდინარეობა შეიძლება მერყეობდეს მწვავე რამდენიმე კვირიანი და მსუბუქი მიმდინარეობიდან ქრონიკულ მიმდინარეობამდე - მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დაავადების გავრცელება ხდება ინფიცირებული პირის სისხლის მოხვედრით ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში. ჩვირუსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვიძლის დაავადებების გამომწვევ ვირუსებს შორის.

ჩვირუსით მსოფლიოში ყოველწლიურად 3-4 მლნ. ადამიანის დაინფიცირება ხდება, 150 მლნ.-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს დაავადების ქრონიკული ფორმით და ციროზის ან ღვიძლის კიბოს განვითარების რისკის ქვეშ. 350 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად ჩჰეპატიტთან ასოცირებული ღვიძლის დაავადების გამო.

C ჰეპატიტის ვირუსი გადაეცემა ინფიცირებული პირის სისხლთან კონტაქტის გზით.

C ჰეპატიტი განკურნებადია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენებით.

C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, თუმცა ამ მიმართულებით სამედიცინო კვლევები გრძელდება.

გეოგრაფიული განაწილება:

C ჰეპატიტი ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში. დაავადების ქრონიკული ფორმების გავრცელება მაღალია ეგვიპტეში (15%), პაკისტანში (4,8%), ჩინეთში (3,2%). აღნიშნულ ქვეყნებში ვირუსის გადაცემის ძირითადი გზები დაკავშირებულია დაბინძურებული ინსტრუმენტებით ჩატარებულ ინექციებთან.

გადაცემის გზები:

C ჰეპატიტის ვირუსი ვრცელდება ინფიცირებული პირის სისხლთან კონტაქტისას შემდეგი გზების საშუალებით:

* კონტამინირებული(C ვირუსის შემცველი) სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმით, ორგანოთა გადანერგვით.

* სამედიცინო დაწესებულებებში კონტამინირებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით.

* ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მოხმარებისას.

* ვერტიკალურად- ინფიცირებული დედიდან შვილზე.

* ინფიცირებულთან სქესობრივი კონტაქტით ან მასთან საერთო ბასრი და მჭრელი საგნების გამოყენებით (ამ გზებით ვირუსის გადაცემა შედარებით იშვიათია).

C ჰეპატიტი არ ვრცელდება ძუძუთი კვებით, წყლით, საკვები პროდუქტებით, კოცნით,ჩახუტებით, ინფიცირებულთან საერთო საკვების ან სასმელის გამოყენებით.

სიმპტომები:

C ჰეპატიტის ინკუბაციური პერიოდი 2 კვირიდან 6 თვემდე მერყეობს.დაავადებულთა დაახლოებით 80%-ს სიმპტომები არ უვლინდებათ. მწვავე მიმდინარეობის შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: ტემპერატურა, დაღლილობა, მადის დაქვეითება,გულის რევა, ღებინება, მუცლის ტკივილი, მუქი შარდი, სახსრების ტკივილი, კანის და სკლერების სიყვითლე.

ახლად დაინფიცირებულთა 75-85%-ს უვითარდება ღვიძლის ქრონიკული დაავადება, მათგან 5-20%-ში ვითარდება ციროზი, ხოლო 1-5%-ში გარდაცვალება ციროზის ან ღვიძლის კიბოს გამო.

დიაგნოსტიკა:

დაავადების მწვავე ფაზის დიაგნოსტიკა ხშირად ვერ ხერხდება უმეტესად უსიმპტომო მიმდინარეობის გამო. ანტისხეულების გამოვლენის ძირითადი ლაბორატორიული მეთოდით შეუძლებელია მწვავე და ქრონიკული ფორმების დიფერენცირება. ანტისხეულების არსებობა მიუთითებს მხოლოდ ამჟამინდელ ან გადატანილ დაავადებაზე. დიაგნოზის დადასტურების მიზნით გამოიყენება RIBA (რეკომბინანტული იმუნობლოტინგი) ან ჭჩღ (პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციავირუსის გენომის გამოსავლენად).

სისხლში ანტისხეულების (Anti-HCV) 6 თვეზე მეტი ხნით არსებობა დაავადების ქრონიკული ფორმის მანიშნებელია. ღვიძლის დაზიანების ხარისხის შეფასების,ციროზის და კიბოს გამოვლენის მიზნით აუცილებელია სპეციფიკური გამოკვლევის ჩატარება.

ყოველი წლის 28 ივლისს ჯანმრთლობის მსოფლიო ორგანიზაცია აღნიშნავსჩ ჰეპატიტის მსოფლიო დღეს.ჩ ჰეპატიტის მსოფლიო დღის მიზანს წარმოადგენს ვირუსული ჰეპატიტებისა და ამ ვირუსებით გამოწვეული დაავადებების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ჩ ჰეპატიტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოში 2013 წლის 28 ივლისიდან მოეწყო კვირეული „ცხოვრება ჩ ჰეპატიტის გარეშე“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, პაციენტები, ტელევიზიის წარმომადგენლები.

საქართველოში ჩ ჰეპატიტის დაახლოებით 200 000 შემთხვევაა აღრიცხული, რაც მოსახლეობის თითქმის 6,7%— ს შეადგენს. დაავადება განკურნებადია, მაგრამ სიძვირის გამო ბევრი ავადმყოფი მკურნალობას ვერ ახერხებს. კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე მოხდა ამ საკითხის განხილვაც. ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ მუშავდება სტრატეგია ეფექტურ შედეგებზე დაფუძვნებული გათვლების გათვალისწინებით; კერძოდ, მედიკამენტების ფასების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დედოფლისწყაროს რაიონული სამსახური

რას გვეტყვი, მამაო?

ცოდვაა თუ არა მთელი დღის ინტერნეტთან გატარება, თუ მარტო მართლმადიდებლურ საიტებზე შევდივარ?

თუკი რეალური ცხოვრება, მთელი თავისი საქმეებით და პასუხისმგებლობებით, გვერდზე გრჩებათ, ნამდვილად ცოდვაში ხართ.

მაინტერესებს ითვლება თუ არა ნადირობა ცოდვად?

არ ითვლება ცოდვად.

კახეთში, წმ. ნიკოლოზის არამოქმედი ეკლესიიდან წამოვიღე პატარა კენჭი, რომელიც მოვაძვრე შიგნითა კედელს და სასოებით ვინახავ სახლში. ეს საქციელი ცოდვაში ხომ არ ჩამეთვლება ან რა ვუყო ამ კენჭს?

თუ კენჭის მოძრობით არ დაგიზიანებიათ ტაძრის ინტერიერი, ეს არ ჩაგეთვლებათ დიდ შეცოდებად. შეგიძლიათ შეინახოთ სახლში, როგორც სიწმინდე, ისე, რომ არ იგრძნოთ სინდისის ქენჯნა.

რა ასაკიდან უნდა ვამარხულოთ ბავშვები?

უნივერსალური კანონი არ არის დაწესებული ბავშვებისათვის ასაკის მიხედვით. ბავშვებმა უნდა დაიწყონ მარხვა იმ დროიდან, რაჟამს მათში გაიღვიძებს რელიგიური თვითშეგნება.

თუ მოუნათლავმა დაუმალა მღვდელს თავისი უნათლავობა და ჯვარი დაიწერა, რას იმსახურებს იგი ამ საქციელის პასუხად?

ასეთი საქციელი ცოდვად ეთვლება ადამიანს, რომელმაც დამალა თავისი მოუნათლავობა.

ჩემს მამამთილს არ სწამს ღმერთის. ჩემმა მეუღლემ არ იცის, მონათლულია თუ არა, მას ჯვარი არა აქვს. გადავა თუ არა ეს ცოდვები ჩემს შვილებზე?

ბავშვებზე ეს ცოდვები არ გადავა. უნდა გაარკვიოთ დაზუსტებით: არის თუ არა მეუღლე მოუნათლავი - ჯვრის არქონა მოუნათლაობას არ ნიშნავს. ხოლო მონათვლა არც ერთ ასაკში არ არის გვიანი. თქვენც, თუ გნებავთ პირნათელი იყოთ ბავშვების წინაშე, უნდა იცხოვროთ ეკლესიურად - თქვათ აღსარება, მოინანიოთ ცოდვები და ეზიაროთ.

ჩემს ახლობელს უნებურად გავუწყვიტე ფსალმუნნი. მეთვლება თუ არა ეს ცოდვად?

თუ თქვენ გულსაკიდი გაუწყვიტეთ და ეს საქციელი უნებურად მოხდა, არ გეთვლებათ ცოდვად, ასევე არ ჩაგეთვლებათ ცოდვად, თუ „გაწყვეტაში“ ფსალმუნის კითხვაში მოყვასის უნებურ შეფერხებას გულისხმობთ.

ცოდვაა თუ არა გაჯიუტებული ბავშვის დატუქსვა და ცემა, თუ სხვა საშუალებებით იგი არ გვემორჩილება?

ბავშვის დასჯა შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ არაფრით არ შეიძლება სახის არეში ფიზიკური შეხება. დასჯა არ უნდა ხდებოდეს მშობლის სუბიექტური გაღიზიანების მიზეზით და სამართლიანი უნდა იყოს.

ადრე ლოცვების კითხვა ძალიან დიდ სიხარულს მანიჭებდა. მაშინ ახალი მისული ვიყავი ეკლესიაში, ახლა რატომღაც გულგრილი გავხდი. რა ხდება ჩემს თავს, ვერაფერი გამიგია. იქნებ თქვენ განმიმარტოთ?

ადამიანი ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისში უანგაროდ და უშრომლად იღებს ღვთისაგან მადლს, რასაც საღვთისმეტყველო ენაზე „ხმობილი მადლი“ ეწოდება. ამ მადლის მოქმედება ადამიანს უადვილებს პირველ ეტაპზე ქრისტიანულ ცხოვრებას - ლოცვას, მარხულობას, ეკლესიაში მსახურებებზე დასწრებას. მერე იწყება მეორე ეტაპი, როცა ადამიანმა ეს მადლი თავად უნდა მოიხვეჭოს და მოიხვეჭს მას ღვთის მცნებათა დაცვით, საკუთარი თავის იძულებით, დაუღალავი ღვაწლითა და შრომით.

არის თუ არა ცოდვა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება და რამდენად სერიოზულია ეს ცოდვა?

ეს სერიოზული ცოდვაა, რადგან შეუღლების მიზანია გამრავლება და შვილების აღზრდა.

სალოცავი ხატები მოთავსებული მაქვს მინისკარებიან დახურულ კარადაში. მეუბნებიან, დახურული მინის მიღმა არ შეიძლება მათი მოთავსებაო. მე კი სხვა საშუალება არა მაქვს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

კარადაში ხატების მოთავსების დროს მთავარია, ის ადგილი არ იყოს გამოყენებული ყოფითი დანიშნულების ნივთებისთვის, ხოლო მინა შემზღუდავ გარემოებად არ ჩაგეთვლებათ.

ქუჩაში ვიპოვე ნალი. გამიგია, რომ მას ბედნიერება მოაქვს მპოვნელისათვის. მივიტანე სახლში და სახლის კარზე დავამაგრე. სწორად მოვიქეცი თუ არა?

თქვენ არ მოიქეცით სწორად, რადგან ნალსა და ოქროს არ მოაქვს ბედნიერება ოჯახისთვის. ოჯახური ბედნიერება დაკავშირებულია უფლის სიახლოვესა და მისი მცნებების აღსრულებასთან. ნალის გაფეტიშება არის წარმართული ჩვეულება და მას ბედნიერების ნაცვლად, ბევრისათვის განსაცდელი მოუტანია. თუ გნებავთ დაცული იყოს თქვენი ოჯახი, ნალის მაგივრად ნაკურთხი ჯვარი იქონიეთ შინ.

შეიძლება თუ არა ღმერთს ვთხოვო, რომ დასაჯოს ჩემი შეურაცხმყოფელები?

ღმერთს ნუ სთხოვთ შეურაცხმყოფელის დასჯას; ნუ ისურვებთ სხვათათვის იმას, რასაც შენთვის არ ისურვებდი. თუ გაწყენინოს, მიენდეთ უფლის ბრძნულ განგებულებას - მან უკეთ უწყის, როგორ მიაგოს მაწყენინებლებს. „ჩემი არს შურისგება, და მე მივაგო, იტყვის უფალი“.

როგორ მოვეპყრათ დაზიანებულ ხატებს?

დაზიანებულ ხატებს და სეფისკვერებს, წვავენ (თუ ამის საშუალება არსებობს ტაძრის ღუმელში), ან მიწაში მარხავენ სუფთა ადგილას.

საწოლთან მოთავსებული მაქვს ხატები. მითხრეს, რომ ასეთ ადგილზე ხატების დაკიდება არ შეიძლება. ეს მართალია?

საწოლთან, მით უმეტეს, თუ იგი ცოლ-ქმრისაა, ხატების მოთავსება სასურველი არ არის. სჯობს წმინდანთა გამოსახულებებისათვის საგანგებო კუთხე გამოიყოს, ოთახის აღმოსავლეთით. თუმცაღა თუკი ადამიანს საცხოვრებელი პირობები ხელს არ უწყობს, მაგრამ სურს შინ ხატები ჰქონდეს და ილოცოს, შეუძლია როგორც მოახერხებს, ხატები ისე განათავსოს... უფალი გულწრფელ ლოცვებს ყოველგვარი გარემოდან შეისმენს.

მონატრება

თინათინ ბასილაშვილი



15 წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი, სევდა და მონატრება ყველას. 8 წელი ვიწვალეთ, 8 წელი ვებრძოლეთ შენს დაუდგენელ ავადმყოფობას, რომელსაც ვერ მოვერიეთ. როგორც იტყვიან, სულამდე ხელი მივიწვდინეთ, არაფერი დავიშურეთ შენი ჯამრთელობისთვის, მაგრამ უშედეგოდ. სამი წელი სკოლის მერხზეც იჯექი, ცდილობდი, კარგი მოსწავლე ყოფილიყავ, არავის ჩამორჩენოდი. უყვარდი მასწავლებლებს, თანაკლასელებს. შენი სილამაზით ყველასგან გამოირჩეოდი. ალბათ ასეთი იყო შენი ბედისწერა, ანგელოზის ფრთებით უნდა გაფრენილიყავ მარადიულ სამყაროში. 25 აგვისტოს 23 წლის უნდა გამხდარიყავ. რა ბედნიერები ვიქნებოდით, შენს დაბადების დღეს ჩვენთან ერთად რომ აღნიშნავდე.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო პატარა თიკო, როგორ გვინდა, ჩაგეხუტოთ, მოგეფეროთ და ჩაგიკრათ გულში.

შენთვის ვლოცულობთ და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო საყვარელო თიკო.

დედა მაია, **მამა** ლევანი, **დაიკო** იზა პოპიაშვილები, **ბებია** იზოლდი, **პაპა** ჟორა ფიროსმანაშვილები.

მონატრება

თამაზ ზურაშვილი



ტკივილიანი მონატრებით გავიდა სამი წელი. რა უცებ და უცნაურად დაგვტოვე. როგორ გიყვარდა სიცოცხლე და რა საოცარი წყურვილი გქონდა სიცოცხლის, როგორ დააკლდი სოფელს, მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს და პირველ რიგში- ოჯახს. უშენობა იგრძნობა ყველგან და ყველაფერში. შენი შვილიშვილები ზრუნვას არ გაკლებენ. ხშირად მოგიქროლებენ ხოლმე ველოსიპედებით და ლამაზი ყვავილებით ამკობენ შენს სამუდამო სამყოფელს. შენ ხომ ძალიან ამაყობდი შენი მოსახელე მოჭიდავე თაზოთი, მოცეკვავე თოკოთი და ტატოთი და პატარა დემეთი. რა უზომოდ დიდ სიხარულს გამოაკლდი, როცა მეხუთე შვილიშვილიც ბიჭი შეგვეძინა- პატარა გიორგი.

მამა, როგორ შეძელი და მოახერხე ამხელა სიყვარულის დატოვება. შენი უბრალო ნაცნობებიც კი ისე გვხვდებიან, რომ შენგან დატოვებულ დიდ სიყვარულს უკან გვიბრუნებენ და ეს იმხელა სიყვარულია, ველარც ვერევით. როგორ შეძელი ასე გეცხოვრა?!

მამა, ენით გამოუთქმელი დარდი დაგვიტოვე. ძალიან გვიჭირს უშენობა. ყველას უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები. შენ მუდამ ჩვენთან იქნები.

ამბობენ, ადამიანი მანამ ცოცხლობს, სანამ ახსოვთ და უყვართ. შენ ყველას ახსოვხარ და ენატრები.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ლამაზი სული ცათა სასუფეველში.

შენი ოჯახი.

დიდი სიურპრიზი დედოფლისწყაროელებს

ტელერადიოკომპანია „ობიექტივი“ დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებს ყოველკვირეულ რეჟიმში 1 საათიან პირდაპირ ეთერს დაუთმობს.

გადაცემა „დედოფლისწყაროს საათი“ „ობიექტივის“ ეთერში ყოველ კვირას, 17:30 წუთზე გავა. როგორც გადაცემის ავტორი და წამყვანი, ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი ამბობს, გადაცემის ფორმატი სტუდიის სტუმრებთან დიალოგს გულისხმობს, თუმცა მეტი მრავალფეროვნებისთვის სიუჟეტების მომზადებაც იგეგმება.

„დღეს ბევრს საუბრობენ ჭეშმარიტი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოყალიბებაზე, თუმცა ზოგიერთს ავიწყდება, რომ თავისი არსით ნამდვილი საზოგადოებრივი მაუწყებელი „ობიექტივის“ სახით უკვე არსებობს და მან ახლახან რეგიონების დაფარვაც შეძლო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ობიექტივი“ ერთადერთი მაუწყებელია, სადაც ავტორს გადაცემის თემებსა და სტუმრებთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს და სრული დამოუკიდებლობის გარანტია აქვს მინიჭებული. მადლობა „ობიექტივის“ გუნდს და მის დამფუძნებლებს, განსაკუთრებით ირმა ინაშვილს, რომ ეს თავისუფალი სივრცე დაგვითმო, რაც დედოფლისწყაროელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გადაცემები დედოფლისწყაროელებზეა გათვლილი, თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით, სხვა ქალაქებში მცხოვრებ მაყურებელთათვისაც საინტერესო იყოს. გადაცემის სახელწოდება „დედოფლისწყაროს საათი“ თავად ირმა ინაშვილმა შეარჩია,“ — აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.

მედიაკავშირ „ობიექტივის“ პროდიუსერის, ანი კიკნაძის განმარტებით, მაყურებელს რეგიონიდან საინტერესო თემები ელის.

„გვინდა მაქსიმალურად საჯარო გახდეს რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და ამ რეგიონებში მაცხოვრებელ ადამიანებს მათთვის საჭირო ინფორმაცია მიეწოდოთ და რაც მთავარია, ჰქონდეთ კითხვის დასმის, აზრის გამოხატვის საშუალება,“ — აცხადებს ანი კიკნაძე.

„ობიექტივის“ გადაცემების პირდაპირ ეთერში ყურება შესაძლებელია როგორც ოთახის ანტენით, ისე საკაბელო ტელევიზიების, სატელიტური თეფშებისა და ინტერნეტის მეშვეობით საიტებზე **www.obieqtivi.net** და **myvideo.ge.** ამას გარდა, გადაცემები თბილისში პარალელურად რადიო ეთერითაც **FM 105.0** სიხშირეზეც გადაიცემა. რამდენიმე დღის წინ „ობიექტივის“ გადაცემები დედოფლისწყაროს ანძიდანაც ჩაირთო.

1 სექტემბერს, ილია მარტყოფლიშვილის სტუდიის სტუმარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი იქნება, რომელიც პირდაპირ ეთერში დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრებს. დედოფლისწყაროელ მაყურებელს შეუძლია დარეკოს და გამგებელს მისთვის სასურველი კითხვა გადაცემის მსვლელობის დროს თავად დაუსვას. ასე რომ, იაქტიურეთ, სტუდიის ტელეფონია (0322) 388 105

10 წლის შემდეგ...

ჟურნალისტის ჩანაწერები

არ ვიცი, უნებლიე დამთხვევაა, თუ სიმბოლურობაც ახლავს, თუმცა ზუსტად 10 წლის წინ, სწორედ აგვისტოს თვეში ლაერტ ზუბადალაშვილის ტექნიკური და მორალური მხარდაჭერით, ადგილობრივი ტელეგადაცემების მზადება დავიწყე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს 3 წლიანი ჟურნალისტური საქმიანობის გამოცდილება უკვე მქონდა, დედოფლისწყაროში ჩემი პროფესიული დებიუტი სწორედ 2003 წელს შედგა და თანარაიონელებმა როგორც ჟურნალისტი აქედან გამიცნეს.

ახლაც ცხელი აგვისტოა, მოულოდნელად კვლავაც დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებზე მიწევს ვიდეო სიუჟეტების მომზადება. კიდევ ერთი დამთხვევა, რაც ამ გარემოების უჩვეულობაში კიდევ უფრო მარწმუნებს ისაა, რომ ოპერატორობას კვლავაც გია ყაჭაშვილი მიწევს (საოცარი ნოსტალგია მქონდა ამ დროის). მაშინაც წინასაარჩევნო კამპანია იწყებოდა, ერთი განსხვავებით, საპარლამენტო არჩევნებს ველოდით.

ამჯერად, გადაღებების მეორე დღეს ვაკვირდები, რომ წინანდელთან შედარებით გადასაღებად გასული, გაცილებით თამამი ვარ, კითხვების დასმასაც ვახერხებ... რაც მთავარია, კითხვები კრიტიკულიც არის... რაკი გულწრფელი ვარ იმასაც გაგიმხელთ, რომ 10 წლის წინ, ჩემი კარიერის გარიჟრაჟზე, ოპერატორი გაცილებით მეტ კითხვას სვამდა, ვიდრე მე... ეს ჩემი საოცრად მორიდებულობის გამო ხდებოდა, თორემ საბედნიეროდ ჟურნალისტთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ამ სფეროში შემთხვევით რომ მოხვედრილან და წარმოდგენა არ აქვთ, რა უნდა აკეთონ... ჩემთვის ეს საქმე ჰობზე მეტი და ცხოვრების აზრია. თსუ-ში სწავლისასაც ეს პრობლემა მქონდა, ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა, თუმცა ხშირად გამოხატვა მიჭირდა. თუმცა, კამერა ჩემი სისუსტეა. მახსოვს, ბევრი მირჩევდა, პრესის ჟურნალისტიკაზე ჩააბარე, ეგ უმჯობესიაო, თუმცა ტელე ჟურნალისტიკა ავიჩემე. არც არავის გაკვირვებია, 12 წლის ასაკიდან ვიდეოკამერას დავათრევდი...

მოკლედ, მოხდა ისე, რომ 2003 წლის აგვისტოში დაწყებული საქმე მე და გია ყაჭაშვილმა 2013 აგვისტოში გავაგრძელეთ. ამჯერად, გაცილებით დიდი აუდიტორია გველის. წინანდელისგან განსხვავებით დედოფლისწყაროს ნაცვლად მთელი საქართველო გვიყურებს. ეს დიდი პასუხისმგებლობა და სტიმულია. პირველ რიგში ის მახარებს, რომ დედოფლისწყაროში მიმდინარე პროცესებისთვის თვალყურის დევნება საზღვარგარეთ, ასევე სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ დედოფლისწყაროელებსაც და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების მაყურებელსაც შეეძლებათ. ოთახის ანტენით, საკაბელო ქსელით თუ სატელიტური თეფშის მეშვეობით. საბედნიეროდ, ამ არხის გავრცელების გზები საკმაოდ მრავალფეროვანია. მიხარია, რომ რაიონის გამოცოცხლებასა, თუ მის პოპულარიზაციაში წვლილს შევიტან. მაშინ გადაცემები აქვე მზადდებოდა და დედოფლისწყაროს ანძიდან გადაიცემოდა, ახლაც აქ ვამზადებთ, უბრალოდ საეთერო სტუდია და მიწვეული სტუმრები მაყურებელს თბილისის სტუდიიდან მიესალმებიან.

გასული წლების განმავლობაშიც ამავე საქმეს ვემსახურებოდი, ემიგრანტი დედოფლისწყაროელები ადგილობრივი ინფორმაციის მიღებას ამ დრომდეც მარტივად ახერხებდნენ, თუმცა, დამეთანხმებით, ამიერიდან დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების ტელეეთერით მიღება ვიზუალურად ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ინტერნეტსაიტზე ამოკითხული, ანდა მხოლოდ მოსმენილი. კიდევ ერთი ახალი საშუალება, რაც „ობიექტივმა“ მოგვცა ის იქნება, რომ სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები თუ მუნიციპალიტეტის პირველი პირები თანარაიონელებთან (და არა მხოლოდ მათთან) გასაუბრებას და ანგარიშის ჩაბარებას პირდაპირ ეთერში მოახერხებენ. ეს კი ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი ტრიბუნაა.

ამიტომაც ძალიან ვღელავ, მინდა წარმატებული პროექტი გამოდგეს, მინდა ძალიან ბევრი გულშემატკივარი გვყავდეს. კარგად მესმის, რამდენად რთულია პირდაპირი ეთერი, თუმცა მინდა ყველა თქვენგანი გადაცემას მოუთმენლად ელოდეს. ისევე, როგორც გაზეთ „შირაქის“ ყოველი ნომრის გამოსვლას. იმედია, გაამართლებს.

იმხელა პასუხისმგებლობით მივუდექი ამ გადაცემების დაწყებას, რომ ამ კვირას გაზეთისთვის ჩემი მუშაობა არცთუ ნაყოფიერი გამოდგა, მთლიანად სხვა რამეზე ვიყავი კონცენტრირებული. იმედია, მომიტევებთ.

მაშ ასე, ყოველ კვირას, 17:30 წუთზე, „ობიექტივის“ ტრიბუნას დედოფლისწყაროელები დაიპყრობენ. არ გამოგრჩეთ!

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მარინა მახარაშვილს!

თამილა ჯავაშვილს!

ძვირფასო კოლეგებო, გილოცავთ შვილიშვილების ლაშა ტეტელოშვილის და მარიამ კაკალაშვილის დაბადებას. ახალშობილებს ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას და ღირსეულ ქართველებად გაზრდას ვუსურვებთ. თქვენ კი კიდევ მრავალგზის ბებიაობას და გახარებას თქვენს დიდ ოჯახებში.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

ულოცავენ!

ანი კვირიკაშვილს!

გილოცავთ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დიპლომატიური ფაკულტეტის დამთავრებას, მაგისტრატურაში ჩაბარებას და მუშაობის დაწყებას.

ბებია მაყვალა ქურხულიშვილი, **ბიძები:** დათო, მამუკა კვირიკაშვილები, **ბიცოლები:** ლალი, ხათუნა, **ბიძაშვილები:** მაკა, ლევანი, რუსუდანი, ვანო კვირიკაშვილები.

ჟურადღება!

რაიონში შემოტანილია მაცივარ-საყინულე მიცვალებულთათვის! მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე **591 32 76 97**

ყიდება!

დედოფლისწყაროში ოთხოთახიანი 2-სართულიანი ბინა. ფართობი 100 კვ.მ. ჭერი დაბეტონებულია ორივე სართულზე. პირველ სართულზე 2 ოთახია, დანარჩენი სათავსოები. ეზოში დგას თონე და ხეხილი. არის საღორე, საქათმე, ტბასთან მიწის ნაკვეთები.
ტელ: 557 76 72 11

ოროთახიანი ბინა დედოფლისწყაროს მიკრორაიონში, სტალინის ქ№46, ბინა 22, მესამე სართული. დარეკეთ: 555 38 48 26; 790-504-710

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 26.08		სამშაბათი 27.08		ოთხშაბათი 28.08		ხუთშაბათი 29.08		პარასკევი 30.08		შაბათი 31.08		კვირა 01.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
23 °	22 °	22 °	20 °	21 °	20 °	20 °	19 °	19 °	18 °	19 °	18 °	21 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K